საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№17 (10020) 2026 წლის 11 თებერვალი, ოთხშაბათი

გიგა ავალიანიც მოკლეს, თვითონაც ზნეობრივად განადგურდნენ!

SOS!

იხ. 8 გვ.

მასწავლებელ გიგა ავალიანის გარდაცვალების სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულებს ბრალი დაუმძიმდათ და სხვა ძალადობრივი დანაშაულების ფაქტებზე ბრალდება წარედგინათ!



9

არჩილ ხომასურიძე სიცოცხლის მარადიულობის დიდი ქომაგი

გვარების წინამძღოლთა დარბაზი

უდიდესი მადლი ტრიალებს გაჩეჩილაძეების გვარში

6

რეფორმირების დეფორმირება,

ანუ განათლების „კონცეფციალოგია“

იხ. 4-5 გვ.

რომ ვიცოდეთ, უნდა ვისწავლოთ!..

კოტე მჭავია:

7

ბათუმის თეატრის წარმატების მჯერა

ფოთის პორტმა 30 000-ტონიანი ნავთობტანკერი წარმატებით მიიღო



2

ილონ მასკი:

11

მთვარეზე, 10 წელიწადში, „თვითგანვითარებად ქალაქს“ ავაშენებ!

გლობალისტური ლიბერალიზმი „ჩაძაღლდა“!

დასავლეთის მორალური დეგრადაცია: მოსედან — ეპშტეინამდე

იხ. 3 გვ.

ყულევი ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობის პორტია!

საქართველო ძალიან მკაცრად იცავს ყველა წესს, რაც არის დაკავშირებული სასანქციო რეჟიმთან, ეს არის ჩემი პოზიცია. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხებს, მზად ვართ დისკუსიისთვის, ინფორმაციის გაზიარებისთვის, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გუშინ ყულევის პორტთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად განაცხადა.

„ამსოლუტურად ღია ვართ თანამშრომლობისთვის ამ კუთხით, მათ შორის ევროკავშირთან. ყულევი ჩვენთვის არის სტრატეგიული მნიშვნელობის პორტი. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხებს, თუ არის კითხვები, მზად ვართ, გავცეთ პასუხი. დავინტერესდებით საქმის დეტალებით და გვექნება კონსულტაციები, ამსოლუტურად ღია ვართ ასეთი კონსულტაციებისთვის. მზად ვართ, გვქონდეს ფაქტებზე დაფუძნებული კონსულტაციები ევროკავშირის წარმომადგენლებთან. მათ წარვუდგენთ პასუხებს ისე, როგორც ეს საჭიროა. ეს არის აქტუალური საკითხი, ჩვენთვის საინტერესო საკითხი და კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ღიაობას, გვქონდეს კონსულტაციები ევროკავშირთან თითოეულ დეტალთან დაკავშირებით. ჩვენ ვიცავთ სასანქციო რეჟიმს სათანადოდ, ეს არის ჩვენი საერთო დამოკიდებულება, რაც შეეხება კონკრეტულ საკითხებს, მზად ვართ ევროკავშირთან კონსულტაციებისთვის“, – განაცხადა პრემიერმა.

დღეს სახელმწიფო არის მოწოდების სიმაღლეზე, სამართლის უზენაესობა არის დაცული და ზუსტად ამან დაამშვიდა ჩვენი ქვეყანა, ამან გაამყარა ჩვენი პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე, ამან მოგვცა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნების საშუალება. რომ არა სამართლის უზენაესობა, ეს ყველაფერი ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი...

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფა არის დეპოლარიზაციის აუცილებელი პირობა.

„კონკრეტული ადამიანები როდესაც იხდიან სასჯელს კონკრეტული დანაშაულებისთვის, ესეც არის დეპოლარიზაციისკენ მიმავალი გზა. თქვენ გახსოვთ, იყო ჩვენთან შემთხვევები, როდესაც ლამის ნახევარი ქალაქი გადაწვეს და არავინ არ დასჯილა ამისათვის. ამან გააღრმავა პოლარიზაცია, ამან გააღრმავა კონკრეტული ადამიანების ინტერესი, რომ ახალ-ახალი დანაშაულები ჩაედინათ, ამიტომ სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფა არის ასევე დეპოლარიზაციისკენ მიმავალი გზა. ჩვენ დავაინიცირეთ დისკუსიები, დებატები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, თუნდაც ამ საკითხზე, რასაც ჰქვია სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში, მზად ვართ დისკუსიისთვის, ჯანსაღი დებატებისთვის. ყველა თემაზე საზოგადოებას უნდა ჰქონდეს განსხვავებული მოსაზრებების მოსმენის საშუალება, ჩვენ ღია ვართ ასეთი დისკუსიებისთვის თუნდაც ამ საკითხზე. რაც შეეხება დამნაშავე პოლიტიკოსების პატიმრობას, დამნაშავე მოძალადეების პატიმრობას, ჩვენ მზად ვართ დისკუსიებისთვის და ყველა შეკითხვაზე გავცემთ სათანადო პასუხს.

მთავარი, რაც ამშვიდებს საზოგადოებას და ამშვიდებს ქვეყანას, ეს არის სამართლის უზენაესობა. სამართლის უზენაესობა რომ არ იყო სათანადოდ დაცული, ნახეთ, სადამდე მიიყვანა ამ ყველაფერმა ჩვენი ქვეყანა. რევოლუციის ხუთი მცდელობა გვქონდა იმის გამო, რომ სამართლის უზენაესობა სათანადოდ – არა არ იყო, არამედ ვერ იყო დაცული ჩვენს ქვეყანაში. დღეს სახელმწიფო არის მოწოდების სიმაღლეზე, სამართლის უზენაესობა არის დაცული და ზუსტად ამან დაამშვიდა ჩვენი ქვეყანა, ამან გაამყარა ჩვენი პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე, ამან მოგვცა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნების საშუალება. რომ არა სამართლის უზენაესობა, ეს ყველაფერი ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი.

ციხეში ვინც არიან, მათ უნდა მოიხადონ სასჯელი, მათთან დებატებზე საუბარი ზედმეტია. საუბარი გვაქვს იმ ადამიანებზე, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეთ ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი განსხვავებული მოსაზრებები, მათთან მზად ვართ დებატებისთვის, მაგრამ არა პატიმრებთან, რომლებიც კონკრეტული დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

შალვა პაპუაშვილი:

ძალლი ყეფს, ქარავანი მიდის!

გამოქვეყნდა კორუფციის აღქმის 2025 წლის ინდექსი და შედეგი ერთმნიშვნელოვანია: საქართველო კვლავ რეგიონის უპირობო ლიდერია, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** სოციალურ ქსელში წერს.

როგორც პაპუაშვილი ამბობს, **„ეს ფაქტები კიდევ ერთხელ ამხელს რეალობას, რომ მრიუსელმა უნდა შეწყვიტოს საქართველოს წინააღმდეგ ანგარიშსწორების პოლიტიკა“. „საქართველო ასწრებს ევროკავშირის შვიდ და ნატოს 11 წევრ ქვეყანას. რაც შეეხება ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებს, აქ საქართველო, რა თქმა უნდა, ყველა მათგანზე წინ დგას. ეს ფაქტები კიდევ ერთხელ ამხელს რეალობას – მრიუსელმა უნდა შეწყვიტოს საქართველოს წინააღმდეგ ანგარიშსწორების პოლიტიკა დეზინფორმაციული კამპანიების გზით“...**

დედაქალაქი 10-11 თებერვალს „წყლის მომავლის პირველ საერთაშორისო ფორუმს“ მასპინძლობს. ღონისძიებას თბილისის მერი კახა კალაძე პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან ერთად დაესწრო და ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

კახა კალაძემ ყურადღება გაამახვილა სასმელი წყლის მნიშვნელობაზე და ამ მხრივ დედაქალაქში არსებულ გამოწვევებზე, ასევე, იმ განხორციელებულ პროექტებზე, რომელთაც მუნიციპალიტეტი ბოლო წლების განმავლობაში წყლისა და წყალარინების ქსელების გაუმჯობესების თვალსაზრისით ახორციელებს.

მისივე განცხადებით, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე წყალუხვი ქვეყანაა თავისი განსაკუთრებული მდებარეობის, მრავალფეროვანი ლანდშაფტის გამო და, სასმელი წყლის სექტორის განვითარების პარალელურად, აქვს შესაძლებლობა, იყოს წამყვანი ენერგოიმპორტიორი ქვეყანა.

„სამწუხაროდ, საქართველოში სასმელი წყლის სექტორი ძირეულ ცვლილებებს და მასშტაბურ ინვესტიციებს საჭიროებს. 2017 წელს, როდესაც ქალაქის ხელისუფლებაში მოვედით, ამ მხრივ საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა დაგვხვდა და არსებობდა უამრავი პრობლემა. სწორედ ამიტომ ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელსაც მუნიციპალიტეტის მთავრობა ახორციელებს, იწყებს, პირველ რიგში, მწყობრიდან გამოსული მიწისქვეშა კომუნიკაციების შეცვლით, წყლისა და წყალარინების ქსელების მოწესრიგებით, რაც, როგორც მოგეხსენებათ, სამუშაოების ვადებსა და ღირებულებას ზრდის. ეს ყველაფერი მოსახლეობაში გარკვეულ დისკომფორტს იწვევს, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ თითოეულმა შესრულებულმა სამუშაომ უნდა გაუძლოს ათეულობით წელს, გვიწევს 24-საათიანი დაუღალავი შრომა“, – განაცხადა **პახა კალაძემ.**

მისი თქმით, ბოლო წლებში დედაქალაქში არაერთ ქუჩასა და გამზირზე გამოიცვალა წყლისა და წყალარინების ცენტრალური ქსელები, სხვადასხვა დასახლებაში უკვე აშენდა ან იგეგმება ცენტრალური კოლექტორების მშენებლობა; მსგავსი ტიპის სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს საცხოვრებელ კორპუსებშიც.

„ჩვენ, ქვეყნის მასშტაბით, როგორც მუნიციპალიტეტების, ისე წყლის მომწოდებელი კერძო კომპანიების დონეზე, საკმაოდ ბევრი გვაქვს სამუშაო, ამაში კი თქვენი, მაღალი სტანდარტების მქონე ოპერატორების ჩართულობისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების იმედი გვაქვს. თბილისის მუნიციპალიტეტი საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში კვლავაც გააგრძელებს ისეთი პროექტების მხარდაჭერასა და განხორციელებას, რაც მოსახლეობისთვის კომფორტული გარემოსა და ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნას შეუწყობს ხელს“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა და ღონისძიების მონაწილეებს მადლობა გადაუხადა.

„წყლის მომავლის პირველი საერთაშორისო ფორუმი“ თბილისში

წყლის მომავლის საერთაშორისო ფორუმი კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (GWP) ორგანიზებით იმართება. ღონისძიების მხარდამჭერია საერთაშორისო კომპანია „აქუალია“, რომელიც GWP-ის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა და, ევროპის, ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში ოპერირებს. ფორუმის მონაწილეები ეროვნულ და რეგიონულ კონტექსტში სასმელი წყლის სექტორის განვითარებისთვის სამომავლო ნაბიჯებზე, ასევე, ქვეყნის მდგრადი განვითარების მიმართულებით წყლის სექტორის მნიშვნელობაზე იმსჯელებენ. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდება ინფრასტრუქტურის გარდაქმნის საჭიროებაზე, საინვესტიციო პოლიტიკაზე, სასმელი წყლის ხელმისაწვდომობასა და ევროპული გამოცდილების გაზიარებაზე.

თბილისის მერიის პრესსამსახური

კორუფციის აღქმის ინდექსი 2025

TRANSPARENCY INTERNATIONAL
the global coalition against corruption

ქვეყანა	ადგილი	ქვეყანა	ადგილი
დანია	1	ბულგარეთი	84
ნიდერვეგია	4	★ მოლდოვა	80
იტალია	52	★ ალბანეთი	91
საქართველო	**56**	უნგრეთი	84
სლოვაკეთი	61	★ ჩრდ. მაკედონია	84
საბერძნეთი	56	★ სერბეთი	116
ხორვატია	63	★ უკრაინა	104
რუმინეთი	70	★ თურქეთი	124
★ მონტენეგრო	65	★ ბოსნია და ჰერცეგოვინა	109
მალტა	60		

ევროკავშირის წევრი ★ ევროკავშირის კანდიდატი ✦ ნატოს წევრი

ფოთის პორტმა 30 000-ტონიანი ნავთობტანკერი წარმატებით მიიღო

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ განხორციელებული კოორდინაციისა და პორტების საოპერაციო ეფექტიანობის გაზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკის ფარგლებში ფოთის ნავსადგურმა კომპანია GULF-ის 30 000-ტონიანი ნავთობტანკერი უსაფრთხოდ და წარმატებულად მიიღო, – ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო ავრცელებს.

როგორც სააგენტოში აცხადებენ, ფოთის პორტი მზადაა, საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით მიიღოს მსგავსი კლასისა და ტონაჟის გემები.

„მალტის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერი SEA NIMBUS-ი ანტვერპენის პორტში, EXXONMOBIL-ის ნავთობის გადამამუშავებელ ქარხანაში დაიტვირთა და ფოთის ნავსადგურში წარმატებით შემოვიდა მიმდინარე წლის 7 თებერვალს.

გემის უსაფრთხო მიღება შესაძლებელი გახდა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“, „ეი პი ემ ტერმინალს ფოთის“ და ნავმისადგომის ოპერატორის – შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედის“ მიერ გაწეული ერთობლივი სამუშაოებისა და ეფექტიანი კოორდინაციის შედეგად. განხორციელებული სამუშაოების ფარგლებში ნავსადგურში მიღწეულმა სიღრმემ 10.4 მეტრი შეადგინა, რამაც უზრუნველყო 10 მეტრი წყალშიგის მქონე გემის ფოთის პორტში უსაფრთხო შემოსვლა.

მსგავსი კლასის ტანკერების მიღების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად აძლიერებს ფოთის პორტის ინფრასტრუქტურულ და ოპერაციულ პოტენციალს, ზრდის მის კონკურენტუნარიანობას რეგიონში და ამყარებს საქართველოს პოზიციას საერთაშორისო საზღვაო ლოგისტიკურ ჯაჭვში.

აღსანიშნავია, რომ ფოთის ნავსადგურმა აღნიშნულ სიღრმეებს ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად მიაღწია. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს პოლიტიკის შესაბამისად, სამომავლოდ დაგეგმილია სიღრმეების შემდგომი გაზრდა, რაც პორტს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს უფრო დიდი წყალწვის მქონე ტანკერები და გააუმჯობესოს არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენების ეფექტიანობა.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

დასავლეთის მორალური დეგრადაცია: მოსედან — ეპშტეინამდე



გლობალისტური ლიბერალიზმი „ჩაძაღლდა“!

დასავლეთის გლობალისტური ლიბერალიზმის მიერ კაცობრიობის დეგრადაციის დონე ყველაზე თვალსაჩინოდ იმაშიც ჩანს, თუ როგორ იქნა ჩანაცვლებული მოსეს 10 მცნება, როგორც მორალის მრავალსაუკუნოვანი ეტალონი – ეპშტეინის ამორალური 10 ანტიმცნებით:

1) არასრულწლოვანთა სისტემური სექსუალური ექსპლუატაცია;

2) მსხვერპლთა ჩართვისა და გადაყვანის ორგანიზებული ტრანსნაციონალური ქსელი;

3) სოციალურად დაუცველი ადამიანების მოხმარებად რესურსად გამოყენება;

4) კომპრომატის შექმნა ძალაუფლებისა და დამორჩილების ინსტრუმენტად;

5) ელიტების კასტოგრივი დაუსჯელობა და სამართლებრივი იმუნიტეტი;

6) დანაშაულის დაფინანსება ლეგალური და კვაზილეგალური სტრუქტურების მეშვეობით;

7) სამართალდამცავი და სასამართლო ინსტიტუტების კორუფცია და პარალიზება;

8) პოლიტიკური, მედიური და აკადემიური წრეების ჩუმი თანამონაწილეობა;

9) სისტემური გოროტების დაყვანა „კერძო შემთხვევამდე“

10) მორალის ჩანაცვლება რიტორიკით, ხოლო ღირებულებების – PR-კონსტრუქციებით.

მოსეს ათი მცნება ადამიანური ცივილიზაციის საფუძველია – მინიმალური ზღვარი, რომლის გარეშე საზოგადოება ბარბაროსობაში ვარდება. „ეპშტეინის ფაილები“ მათი სარკისებრი უარყოფაა – ათი ანტიმცნება, რომლის მიხედვითაც ცხოვრობდა დასავლური ელიტის ნაწილი, მაშინ, როცა დანარჩენ სამყაროს მორალს, უფლებებსა და ღირებულებებს უკითხავდა. აქ არანაირი მეტაფორა არ არის – აქ ცივი ლოგიკაა: თუ მცნებები ზღუდავდა დასაშვებს, ეპშტეინის სისტემამ ეს ზღვარი შეგნებულად გააქრო.

„არა პაც კლა“ იქცა ადამიანის ღირსების განადგურებად.

„არა იმრუშო“ – ინსტიტუციონალიზებულ ძალადობად.

„არა ივარო“ – ბედისა და სიცოცხლის მიტაცებად.

„არა ცილი სწამო“ – ელიტების კოლექტიურ დუმილად.

ეს არ არის გადახრები და არა ინდივიდუალური ექსცესები – ეს არის ალტერნატიული ამორალური კოდექსი, სადაც ყველაფერი ნებადართულია, თუ სწორ წრეს განეკუთვნები. ეპშტეინის საქმეში ყველაზე დამანგრეველი არა დანაშაულის მასშტაბია, არამედ ის, რომ ეს ქმედებები დიდხანს საერთოდ არ აღიქმებოდა დანაშაულად ელიტურ გარემოში. მცნებები მოქმედებდა მასებისთვის, მაგრამ არა მათთვის, ვინც წესებს წერდა. სწორედ ამ მომენტში ნებისმიერი სისტემა კარგავს ლეგიტიმაციას – როცა მორალი უნივერსალური აღარ არის და კასტობრივად იქცევა.

გლობალისტური ლიბერალიზმი ათწლეულების განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ის ჰუმანიზმის, განმანათლებლობისა და ადამიანის უფლებების მემკვიდრეა. „ეპშტეინის ფაილებმა“ საპირისპირო აჩვენა: ეს არის იდეოლოგია თვითშეზღუდვის გარეშე. იქ, სადაც ტაბუ არ არსებობს, ღირებულებებიც არ არსებობს – რჩება მხოლოდ ენა, რომელიც ძალაუფლებას ფარავს. სწორედ ამიტომ ეპშტეინის საქმე ანგრევს არა ცალკეულ რეპუტაციებს, არამედ დასავლეთის მორალური უპირატესობის მითს.

ბიბლიაში მცნებების დარღვევა ისჯებოდა არა იმიტომ, რომ ღმერთი სასტიკი იყო, არამედ იმიტომ, რომ საზღვრების გარეშე საზოგადოება იღუპება. დღეს დასავლეთი იმავე ისტორიული კანონზომიერების წინაშე დგას: ელიტების დაუსჯელობა სისტემას უფრო სწრაფად ანგრევს, ვიდრე გარე მტერი. არცერთი იმპერია არ დაცემულა კრიტიკის გამო – ისინი ეცემოდნენ მაშინ, როცა მათი ზედა ფენა შეზღუდვების რწმენას კარგავდა.

ამიტომ „ეპშტეინის ფაილები“ შეიძლება არ არის ზოგადად დასავლეთის, მაგრამ არის მისი მორალური ჰეგემონიის დასასრული. როცა სამყაროს ათი მცნების ნაცვლად სთავაზობენ ათ ანტიმცნებას, სიტყვა „ღირებულებებით“ შეფუთულს – მორალის ქადაგების უფლება ქრება. ამ კუთხით ეპშტეინი გახდა არა მიზეზი, არამედ ჭეშმარიტების მომენტი, რომლის შემდეგაც გლობალისტური ლიბერალიზმი „ჩაძაღლდა“, როგორც კაცობრიობის ზნეობრივი ორიენტირი.

დავით ქართველიშვილი

გახრწნილი ჩინოვნიკების დათხოვნა გრძელდება

ჯეფრი ეპშტეინის ფაილებთან დაკავშირებული გამოძიების გამო ნორვეგიელმა დიპლომატმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის უფროსმა თანამდებობები დატოვეს... ნორვეგიელი დიპლომატი, გავლენიანი ელჩი მონა იული თანამდებობას ტოვებს, – ამის შესახებ **„როიტერი“** ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება.

მედიის ინფორმაციით, მიზეზი გარდაცვლილი ჯეფრი ეპშტეინის საქმესთან დაკავშირებით ვითარების არასწორი შეფასებაა, რაც სკანდინავიურ ქვეყანასა და მთელ ევროპაში მზარდი სკანდლის ნაწილია.

ამ კვირის დასაწყისში ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეპშტეინთან კავშირების თაობაზე შიდა გამოძიების დასრულებამდე მონა იული იორდანიასა და ერაყში ელჩის პოსტს ჩამოაშორა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც აშშ-ის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში იულის ეპშტეინთან კავშირები გამოვლინდა.

„იულის კონტაქტმა მსჯავრდებულ სექსუალურ მანიაკ ეპშტეინთან განსჯის სერიოზული უგულებელყოფა აჩვენა. საქმე ართულებს ამ თანამდებობისთვის საჭირო ნდობის აღდგენას“, – განაცხადა ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ესპენ ბარტ ეიდემ.**

მონა იულის ადვოკატის განცხადებით, გავლენიანი ელჩი თანამდებობას ნებაყოფლობით ტოვებს, რადგან არსებული ვითარების ფონზე მისთვის სამუშაოს გაგრძელება შეუძლებელი ხდება.

„მონა იული გააგრძელებს სრულ თანამშრომლობას საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რათა უზრუნველყოს საქმესთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ფაქტის გამოაშკარავება“, – აცხადებს ადვოკატი.

66 წლის **იული** მსახურობდა როგორც ნორვეგიის ელჩი ისრაელში, დიდ ბრიტანეთსა და გაეროში. **ჯეფრი ეპშტეინთან კავშირის გამო ბოდიშის მოხდა რამდენჯერმე მოუწია მის ქმარსაც.**



მანამდე კი თანამდებობა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის **კირ სტარმერის** ადმინისტრაციის უფროსმა **მორგან მასკვინმ** დატოვა. მან პასუხისმგებლობა აიღო კირ სტარმერისთვის ჯეფრი ეპშტეინთან კავშირის მქონე პიტერ მანდელსონის აშშ-ის ელჩად დანიშვნის შეთავაზებაზე.

გამოცემა „ინდეფენდენთის“ ინფორმაციით, მომხდარის გამო სტარმერი მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდა. გავრცელებული ცნობით, დიდი ბრიტანეთის პრემიერი ლეიბორისტული პარტიის წევრების დაპირისპირების საშიშროების წინაშეა და საკუთარი პოლიტიკური კარიერის გადარჩენისთვის იბრძვის. გამოცემის ინფორმაციით, აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ელჩის დანიშვნის დროს მისი ეპშტეინთან კავშირის შესახებ იცოდა. კავშირი კი მას შემდეგაც გაგრძელდა, რაც ფინანსისტი არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური დანაშაულისთვის გაასამართლეს.

ცნობისთვის, მენდელსონი აშშ-ში დიდი ბრიტანეთის ელჩის თანამდებობას იკავებდა. ის ამ პოზიციაზე 2025 წლის თებერვალში დაინიშნა, თუმცა რამდენიმე თვეში თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მისი გათავისუფლების მიზეზად სწორედ ეპშტეინის სკანდალი იქცა. კირ სტარმერმა ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზად ის ფაქტი დაასახელა, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ეპშტეინსა და მენდელსონს შორის ღრმა კავშირს აჩვენებდა და განსხვავდებოდა იმ ინფორმაციისგან, რაც დიდი ბრიტანეთის პრემიერმა მის შესახებ იცოდა.

რეფორმირების დეფორმირება,

ანუ განათლების „კონცეფციალოგია“

ლათინური ტერმინის – „ლოგიის“ სემანტიკური შინაარსის ცოდნა ყველას არ მოეთხოვება, მაგრამ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანმა, რომლის საგანმანათლებლო ცენზი სახელმწიფო დიპლომით არის დადასტურებული, აუცილებლად უნდა იცოდეს ეს, თუ, რა თქმა უნდა, დიპლომი ნაყიდი არ აქვს ისე, როგორც ხილ-ბოსტნის მაღაზიაში ყიდულობენ ახალქალაქისა თუ სვანურ კარტოფილს. ასეთი რამ გამორიცხული ვერ იქნება ისეთი მცირერიცხოვანი მოსახლეობის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც დღეს სამოცამდე უნივერსიტეტია (1994 წელს გამოცემულ ცნობარში ორასორმოცი უნივერსიტეტი და ინსტიტუტი იყო).

შესაძლებელია „ლოგიის“ მნიშვნელობა უდიპლომო კაცმაც იცოდეს, რაც მის ნიჭიერებასა, ფართო ინტერესებსა და ერუდიციაზე მიანიშნებდეს. რატომ დამჭირდა ამხელა „პრელუდია“ მცირემოცულობის პუბლიცისტური წერილისათვის? ახლავე მოგახსენებთ!

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირველსავე თვეებში ხელისუფლებისთვის ყველაზე „აქტუალური“ ამოცანა დაისახა: პრინციპულად შეცვლილიყო „საბჭოური“ განათლების სისტემა, იმის მიუხედავად, რომ იგი მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლებოდა; ერთ ნაკლს აღნიშნავდნენ ხოლმე საერთაშორისო ექსპერტები: აღზრდის სისტემაში პრიორიტეტული იყო მოსწავლეთა ათეისტური მსოფლმხედველობის ფორმირება. ისე, კაცმა რომ თქვას, ათეისტური აღზრდა 60-იანი წლებიდან ყოველგვარ ინტერესს იყო მოკლებული და არც რაიმე კონკრეტული შედეგები ახლდა მას.

დამოუკიდებლობის პირველ წელს, **ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს** განათლების რეფორმისთვის ხელისუფლებამ ვერ მოიცალა აგრესიული „ოპოზიციის“ (ანუ გადამტრიალებლების!) აქტივობის გამო. მომდევნო (პოსტგადატრიალების) პერიოდში კვლავ დადგა საბჭოური განათლების სისტემის დაუყოვნებლივი რეფორმირების პრობლემა. იმ დროს განათლების სისტემის ხელმძღვანელ ორგანოებში, ჯერ ისევ, დარგის პროფესიონალები სჭარბობდნენ და მათ კარგად იცოდნენ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს რეფორმირება შესაბამისი კონცეფციის მიხედვით უნდა განხორციელდეს და რეფორმის წარმატება მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული კონცეფციის შესაბამისად არის შესაძლებელი. ამიტომ მაშინდელი განათლების მინისტრის ბრძანებით შეიქმნა რეფორმის შემმუშავებელი 20-25-კაციანი ჯგუფი და განისაზღვრა მუშაობის რეგლამენტი და მეთოდოლოგია. ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნა განათლების იმდროინდელი მინისტრის მოადგილე, მეცნიერების დოქტორი, ცნობილი გერმანისტი **პოტე გაბაშვილი**.

სამინისტროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ჩვენი კოლექტიური მუშაობა თბილისში არაეფექტიანი იქნებოდა, რადგან რამდენიმე ჩვენგანი ცნობილ მოქეიფეებად ვითვლებოდით და აქ ძმაკაცები საშუალებას არ მოგვცემდნენ, რომ ყოველ საღამოს პურმარილზე არ ვყოფილიყავით. ჩვენ, ცხადია, „გამოუცდელ“ ახალგაზრდებსაც ავიყოლიებდით, უმრავლესობა სწორედ ისინი იყვნენ. ამიტომ გურჯაანის რაიონის რომელიღაც სოფლის სკოლა დაგვითმეს (არდადეგები იყო მაშინ) და იქ განგვამწესეს სამუშაოდ.

პირველ დღეს რაიონის ხელმძღვანელებმა მოგვკიბეს, სამუშაო პირობებს გაეცნენ და ყველაფერში თანადგომა აღგვითქვეს. იმ დღემ ურთიერთგაცნობასა და ურთიერთმოფერებაში ჩაიარა და მეორე დღეს ოპტიმისტური განწყობილებით „შევუდექით“ დასახული სამუშაოს აღსრულებას. პირველი სხდომა, ცხადია, კოტე გაბაშვილმა გახსნა და ილაპარაკა კონცეფციის მნიშვნელობასა და განათლების სისტემის ეფექტიანობაზე „დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის“ პროცესში.

ჯგუფის რამდენიმე წევრმაც გამოვთქვით ჩვენ-ჩვენი მოსაზრებანი ჯგუფის მუშაობის რაციონალიზაციის საკითხზე. მერე სასადილო შესვენება გამოცხადდა და, როგორც შევატყვე, უმადურობა არავის აწუხებდა.

ერთი-ორი საათის შემდეგ სხდომა განახლდა და ვიდრე ბატონი კოტე იმ დღის სამუშაო თემის პრეზენტაციას წარმოადგენდა, ერთი ახალგაზრდა წამოდგა (სკოლის დირექტორი იყო, თუ სამინისტროს მუშაკი, აღარ მახსოვს!) და განაცხადა: ბატონო კოტე, ჩვენ ვფიქრობთ, ჯერ ის უნდა აგვიხსნათ, „კონცეფცია“ რა არის და მერე ვიფიქროთ მის შემუშავებაზეო. ბატონი კოტე გაჩერდა, მე მივიხედ-მოვიხედე და დავრწმუნდი, რომ ის ახალგაზრდა ჯგუფის ოთხმოცი პროცენტის აზრს გამოხატავდა.

ბატონი კოტე, ვფიქრობ, წუთით დაიბნა, მერე შებრუნდა და დაფაზე რაღაცის წერა დაიწყო, მაგრამ ამას აღარ ვუყურებდი, ავდექი და აუდიტორიას მივმართე: მეგობრებო, ის შეკითხვა, რომელიც აქ დაისვა, როგორც ჩანს, აქ მყოფთაგან ბევრს გაწუხებთ და ახლა მე გეკითხებით: კონცეფცია რა არის, ის თუ არ იცით, რატომ დაეთანხმეთ, ვისაც დაეთანხმეთ, ამ ჯგუფში მუშაობაზე-მეთქი. ისე, იცოდეთ, **კონცეფცია არის შეხედულებათა სისტემა სოციალური მოვლენის, საზოგადოებრივი ამოცანის, ტექნიკური პროგლემისა და სხვა მსგავსი ტექნიკურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის შესახებ.** ახლა იმის ახსნას არ დაგიწყებთ, თუ რა არის თვითონ სისტემა-მეთქი, – ვთქვი და დავჯექი.

ამის შემდეგ სამიოდე დღე კიდევ დავრჩით, მაგრამ კონცეფცია... ფაფუ! „კონცეფცია“ ვერ მოიძებნა! ამის შემდეგ განათლების მაშინდელმა მინისტრმა „კონცეფციის“ შემუშავება დაავალა მინისტრის მოადგილეს მშენებლობის დარგში. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ „კონცეფციის“ განხილვაშიც მივიღე მონაწილეობა განათლების სამინისტროში. მალე მე დამოუკიდებლად გამოვაქვეყნე „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კონცეფცია“ გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ (ყოფილ „ახალგაზრდა კომუნისტში“), რომელიც მაშინვე გადაბეჭდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთმა „ერთობამ“.

სულ მალე განათლების კონცეფცია გამოაქვეყნა განათლების ყოფილმა მინისტრმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ოთარ ქინქლაძემ.**

არც ოთარ ქინქლაძისა და არც ჩემი კონცეფცია ოფიციალურად არავის განუხილავს, არც სასკოლო რეფორმა განხორციელებულა მაინცდამაინც. რაღაც ცვლილებები კი განხორციელდა, უმთავრესად პოლიტიკური, მაგრამ არსებითად – არაფერი. მხოლოდ ერთი იყო საყურადღებო: სკოლებში შემოიღეს რელიგიათმცოდნეობის საგანი. ამ საგნის სახელმძღვანელო დაწერა ცნობილმა მეცნიერმა და მწერალმა რევაზ თვარაძემ და სწორედ ის ჩაუდგა სათავეში ამ საგნის სამეცნიერო კათედრას პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკურ ინსტიტუტში.

ამის შემდეგ, განათლების სამინისტროში მინისტრების ისეთი ცვლა დაიწყო, რისი თანამიმდევრობით დამახსოვრებას იულიუს ცეზარის მეხსიერება სჭირდებოდა. ეს პროცესი მასუკან „დიდი წარმატებით“ ხორციელდება. ჰოდა, ყველა მინისტრმა „რეფორმის“ განხორციელება განიზრახა. ზოგმა აისრულა ეს განზრახვა, ზოგმა ვერა, მაგრამ ვინც აისრულა, მან **რეფორმირება** კი ვერ მოახერხა განათლების სისტემისა, არამედ მხოლოდ **დეფორმირება** შეძლო. რატომ, იცით? არცერთს არ ჰქონდა ჭეშმარიტად მეცნიერული კონცეფცია, რადგან ბევრმა მათგანმა არც მნიშვნელობა იცოდა კონცეფციისა და არც შინაარსი. ბევრი სარეფორმო წამოწყება მხოლოდ ქაღალდზე, ან მათი ავტორების რიტორიკაში დარჩა, იმიტომ, რომ მწყობრი მეცნიერული (ამ შემთხვევაში განათლების მეცნიერების შესაბამისი) შეხედულებათა სისტემის გარეშე „კონცეფცია“ სამოქმედო ორიენტირად ვერ გამოდგება. ასეთი კონცეფციის შექმნაში კი ვერც პარტიულ-სამეურნეო პოსტებზე მუშაობის გამოცდილება დაგეხმარება და ვერც მონდომება და ნებისყოფა. საამისოდ მხოლოდ დარგის ცოდნაც არ კმარა, საამისოდ განათლების მეცნიერების ცოდნაა საჭირო. ეს კი არც ისე იოლია. ერთი ცნობილი პედაგოგიკის კლასიკოსის ნათქვამია: **„განათლება ყველას იოლ და მარტივ საქმედ მიაჩნია, მით უფრო იოლ და მარტივ საქმედ, რაც უფრო ნაკლებად იცნობს მას თეორიულად და პრაქტიკულად“.** ჰოდა, რა გასაკვირია, რომ სარეფორმო კონცეფცია ვერავინ შექმნა, რადგან ქალბატონ **ნათელა ვასაძის** შემდეგ განათლების სისტემის სათავეში სწავლული პედაგოგი (ანუ განათლების მეცნიერებათა დოქტორი) არავინ ყოფილა.

აი, ხელისუფლების სათავეში ნაციონალური მოძრაობის მოსვლის შემდეგ დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო... რის კონცეფცია, რა კონცეფცია... საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV ამბობდა: „სახელმწიფო, ეს მე ვარო!“ სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნები კი ამბობდნენ: ყველაფრის კონცეფცია ჩვენ ვართო! ასეც იყო!

„ნაცების“ პირველი განათლების მინისტრი პროფესიით სანტექნიკოსი იყო. მე არ ვიცი, როგორი კვალიფიკაციის მქონე იყო ის სანტექნიკოსი, ალექსანდრე ლომაია, მაგრამ განათლების სისტემის ნგრევაში ნამდვილად გამოავლინა დიდი უნარი. მერე ის იყო, რომ ცხრა წლის განმავლობაში განათლების მინისტრის პოსტზე ბევრმა მოყვარულმა მოიბალახა. აქ ერთმანეთს ცვლიდნენ ციხის ზედამხედველები, პოლიციის „ცნობადი“ სახეები, ნაპროკურალები და არც ერთი მათგანი განათლების მეცნიერებასთან ახლოსაც კი არ იყო გავლილი. აი, ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ „გადაწყვიტეს“ პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მისმა განათლების მინისტრმა შაშკინმა ერთ-ერთი კარდინალური საგანმანათლებლო საკითხი...

პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი განათლების მინისტრი შაშკინი თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლას ესტუმრნენ. პრეზიდენტი ამ სკოლის ყოფილი მოსწავლე იყო და მასპინძლებს უთხრა, თუ რაიმე პრეტენზია გაქვთ განათლების სისტემის მიმართ, ყურადღებით მოგისმენთო. ამ შეხვედრას ესწრებოდა იმ სკოლის დამაარსებელი და მისი ლეგენდარული დირექტორი, რომელიც იმ დროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი იყო, **ლევან ჩიქვანაია.** ბატონი ლევანი, ბუნებრივია, სიტყვით გამოვიდა და მის „საამაყო“ ყოფილ მოსწავლეს მოახსენა ხალხის უკმაყოფილება თორმეტწლიანი საშუალო განათლების მიმართ. მართლაც, ეს უაზრო მეთორმეტე კლასი ყველას აღიზიანებდა და დღესაც აღიზიანებს, რადგან მისი შემოღება არავითარ კონცეპტუალურ მოსაზრებას არ ეფუძნება.

ამის შემდეგ პრეზიდენტი გამოვიდა სიტყვით და პედაგოგიურ კოლექტივს უთხრა, მე ვეთანხმები ჩემს ყოფილ ლეგენდარულ დირექტორს, მართლაც უხერხულია ცხრამეტი წლის კაცი სასკოლო მერხთან იჯდეს და მასწავლებლის კითხვებს პასუხობდესო. ამიტომ, ამ პრობლემას ახლავე მარტივად გადავწყვეტო: მომდევნო წლიდან ექვსწლიანების ნაცვლად სკოლაში ხუთი წლის ბავშვებს მივიღებთ და საკითხიც მოგვარებული იქნებაო. თქვა თუ არა ეს, დარბაზს დაემშვიდობა და კარებისაკენ გაემართა. დამსწრენი გაოგნდნენ, მაგრამ შეკამათება ვერავინ გაბედა, ან ვინ იყო შემდავებელი ლევან ჩიქვანაიას გარდა, თუმცა იქ საამისო დრო აღარ იყო.

➤

განათლების მინისტრმა იმ დღესვე დაწერა ბრძანება, ახალი წლიდან სკოლაში ხუთი წლის ასაკის ბავშვების მიღების შესახებ.

რომ ვიცოდეთ...

ექვსი წლის ბავშვების სასკოლო სწავლებაში ჩაბმის მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტრომ, პედაგოგიკის საკავშირო აკადემიასთან ერთად, გასული საუკუნის სამოციან წლებში დაიწყო ექვსწლიანთა სწავლისათვის მზაობის ექსპერიმენტული შესწავლა. ექსპერიმენტის განხორციელება საქართველოს დაევალა. სამი წლის განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ორასზე მეტ სკოლაში მიმდინარეობდა შესაბამისი ექსპერიმენტული კვლევები ცნობილი ქართველი პედაგოგიური ფსიქოლოგიისა და დიდაქტიკის სფეროში მომუშავე მეცნიერთა ხელმძღვანელობით. ექსპერიმენტულ კლასებში მოსწავლეებთან საუკეთესო პრაქტიკოსი პედაგოგები მუშაობდნენ. საექსპერიმენტო მუშაობის პროცესში შეიქმნა და გამოიცა ცნობილი სპეციალისტების ნაშრომები ექვსწლიანთა სწავლების მეთოდიკის საკითხებზე, შეიქმნა სათანადო დიდაქტიკური საშუალებანი პედაგოგებისა და მოსწავლეთათვის. სამი წლის სამეცნიერო-ექსპერიმენტული მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ შესაძლებელია ექვსწლიანი ბავშვების ჩართვა სასწავლო პროცესში სათანადო მეთოდიკისა და დიდაქტიკური საშუალებების გამოყენების პირობებში. რა თქმა უნდა, პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტებში ინტენსიურად მუშაობდა კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი კურსები.

აი, ასე! სააკაშვილმა და მისმა მინისტრმა ოც წუთში „გადაწყვიტეს" სწავლების დაწყების ასაკის ურთულესი პროგლემა: ოც წუთში!

„ნაცების" პერიოდში, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თითქმის ყოველ წელს იცვლებოდნენ განათლების მინისტრები და ყველა ცდილობდა, რაღაც ახალი ცვლილება შეეტანა სკოლაში, რაღაცის არა **რეფორმირება,** არამედ **დეფორმირება** მოეხდინა. მოახდინეს კიდეც! რა სასიკეთო ცვლილება უნდა შეეტანათ იმ ბოგოლა გვამებს, რომლებმაც, როგორც იმერეთში იტყვიან, ანაგებადაც კი არ იცოდნენ რაზე იდგა სკოლის საგანმანათლებლო-განმავითარებელი შინაარსი.

სკოლაში აღზრდის მწყობრი სისტემის დანგრევა და აღზრდის გამოცხადება პიროვნებაზე ძალადობად, ეს წმინდად კრიმინალური საკითხია, რისთვისაც პასუხი მოეთხოვებათ ამ საქმეში მონაწილეებს, როცა იქნება!

ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე, განათლების მინისტრად დანიშნეს ერთი ქალბატონი, რომლის გვარ-სახელი არავის გაეგონა საქართველოში, მაგრამ მე მაინც მივესალმე ახალი მინისტრის დანიშვნას საგაზეთო წერილით („საქართველოს რესპუბლიკა") და ვურჩიე, სასწრაფოდ შეეცვალა ყოფილი ხელისუფლების მავნებლური გადაწყვეტილება, ხუთწლიანთა სასკოლო სწავლების დაწყების შესახებ. რატომ იყო ეს გადაწყვეტილება მავნებლური, ამას პროფესიონალი პედაგოგები მიხვდებიან!

ის ჩემი შენიშვნა ყურად არავინ იღო. ეს ახალი მინისტრი, თურმე, „ჯიპას" (ხელმძღვანელი კადრების სამჭედლო) ინსტიტუტის მთავარი ბუღალტერი ყოფილა და ჩემს შეგონებას როგორ გაიგებდა!..

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გაზეთებში გამოქვეყნდა განათლების სამინისტროს განცხადება იმის თაობაზე, რომ ევროკავშირთან, აგრეთვე ცნობილ ევროპელ მეცნიერებთან კონსულტაციების შემდგომ გადავწყვიტეთ, რომ აწი სკოლაში ექვსი წლის ასაკის ბავშვებს მივიღებთო.

ვაი თქვენს პატრონს-მეთქი, ევროპაში რას გარბოდით, ექვსწლიანთა სწავლების შესახებ უამრავი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურაა გამოქვეყნებული ჩვენში. ბევრი რამ თარგმნილიც არის უცხოურ ენებზე.

ეეჰ, ცოდნა სინათლეა, უცოდინარობა – ბნელეთიო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი!

ბებიაჩემი ოლღა არევაძე იტყოდა ხოლმე, გადამხდა გადასახადი, აწი უარესს მოველიო, – ისეა ჩვენი საქმე! ახლა დაანონსებული ახალი სასკოლო და უმაღლესი განათლების სისტემების რეფორმა, ჩემი აზრით, დიდ საფრთხეს შეიცავს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საეჭვო პროფესიული კვალიფიკაციის ხალხი ლაპარაკობს ამ რეფორმებზე, მაგრამ ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რა კონცეფციის საფუძველზე აპირებენ ამ რეფორმის განხორციელებას? კონცეფცია თუ ის ჰგონიათ, რასაც ტელევიზიით ლაპარაკობენ, ან რაიონების მცხოვრებლებთან და სკოლის პედაგოგებთან საუბრობენ მაღალჩინოსნები, ძალიან ცუდად ყოფილა საქმე. სად არის გამოქვეყნებული უმაღლესი სკოლისა თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის კონცეფცია? არ გაქვთ კონცეფცია? მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ მრავალსართულიან კორპუსს აშენებდე არქიტექტურული და სამუშაო პროექტის გარეშე. ხომ გესმით, რა შედეგი მოჰყვება ამას?

იმის მიუხედავად, რომ კონცეფციები თუ არსებობს, მე არ ვიცი, მაგრამ ორ შენიშვნას მაინც გავაკეთებ, თუ როგორმე ამ არარსებული თუ არსებული კონცეფციის გაცნობის საშუალება მომეცა, შეიძლება შენიშვნებზე მეტი საქმებარი სიტყვები მქონდეს სათქმელი, ვინ იცის!

პირველი შენიშვნა ეხება განათლების მინისტრის მიერ არაერთხელ გაჟღერებულ „გადაწყვეტილებას", სკოლა თერთმეტწლიანი გახდება, ვისაც სურვილი ექნება, იმათთვის იქნება მეთორმეტე კლასიცო.

ხუმრობთ, ბატონო მინისტრო? აბა, თუ სერიოზულად ამბობთ, როგორც ბებიაჩემი იტყოდა, მაგისთანა თქვას ჩემმა მტერმა! ხოლო, ის რომ თქვით, მეთერთმეტე კლასში სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება რეპეტიტორული მუშაობა იქნებაო, ეს იმდენად „უსაშველოდ გრანდიოზული დიდაქტიკური" სიახლეა, რომ, ამაზე კომენტარის გაკეთება ჩემს ორდინარულ გონებას ჯერჯერობით არ შეუძლია!

მეორე, შენიშვნა კი არა, გაოცების გამომხატველი კითხვაა: ორი რადიკალურად განსხვავებული – (აკადემიური ფუნქციის, სოციალური დანიშნულების, სტრუქტურისა და ა. შ.) უმაღლესი სასწავლებლების გაერთიანების კონცეფცია თუ არსებობს და ვინ შეიმუშავა იგი, თუ ეს საკითხი სააკაშვილისებურად ნახევარ საათში გადაწყვიტეთ?!

„პერპეტუმ მოგილეს" რომ იგონებდნენ შუა საუკუნეების ევროპაში, გახსოვთ? თუ გახსოვთ, როგორ დამთავრდა ის ექსპერიმენტი? ისე ხომ არა, კამეჩის განავლიდან კარაქის მიღებას რომ ლამობდა ერთი გენიოსა? რაღაც შედეგს კი მიაღწია, როგორც თვითონ გენიოსა აღნიშნავდა: პურზე კარგად ესმება, ეგ არის, სუნი და გემო ვერ მოვუშალეო.

ამ „ნოვატორებს" თუ რაიმე მეცნიერული კონცეფცია აქვთ და ეს კონცეფციები მართლაც მეცნიერული შინაარსისაა, მე საჯაროდ მოვიხდი გოდიშს, თუ არა, და!..

ზურაბ ცუცქირიძე,
განათლების მეცნიერებათა დოქტორი,
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.
ტელ. 555 567 537
07.02.2026 წელი

თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტები აღარ გაერთიანდება!

– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„ერთი ქალაქი – ერთი ფაკულტეტის პრინციპის" შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გარდაიქმნება წმინდა ტექნიკურ უნივერსიტეტად. ეს იყო ჩვენი უმაღლესი განათლების კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. შესაბამისად, ტექნიკურ უნივერსიტეტში მომავალში ისწავლება მხოლოდ ის დისციპლინები, რომლებიც 1990-იან წლებამდე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ისწავლებოდა, შესაბამის პროგრამაში შედიოდა. ასევე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მომდევნო აკადემიური წლისთვის აღარ გამოცხადდება მიღება იმ დისციპლინებზე, რომლებიც 1990-იან წლებამდე არ შედიოდა ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში. შესაბამისად, ტექნიკური პროფილის არმქონე სასწავლო პროგრამები ტექნიკურ უნივერსიტეტში მომდევნო ორი წლის განმავლობაში დარჩება მილევად რეჟიმში. აღარ ერთიანდება ორი უნივერსიტეტი. რაც შეეხება არატექნიკურ მიმართულებებს, ისინი დარჩებიან მილევად რეჟიმში. შესაბამისად, ამ წლიდან უკვე ტექნიკურ უნივერსიტეტში შესაბამის სპეციალობებზე მიღება აღარ გამოცხადდება", – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან საკმაოდ ხანგრძლივი, საინტერესო და, რაც მთავარია, შედეგიანი შეხვედრა შედგა.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხარდაჭერა იმ რეფორმის მიმართ, რომელიც ჩვენ გვაქვს დაანონსებული. ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი სრულად უჭერს მხარს უმაღლესი განათლების რეფორმის სამთავრობო კონცეფციით გათვალისწინებულ ცვლილებებს, მათ შორის საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის თვისებრივი განახლების გეგმას, „ერთი ქალაქი – ერთი ფაკულტეტის პრინციპს", რეგიონებში უნივერსიტეტების გაძლიერების იდეას, არსებითად 3+1 სასწავლო პროგრამებზე გადასვლას, სწავლებასა და კვლევას შორის კავშირის გაძლიერებისა და საკადრო პოლიტიკის დახვეწის გეგმას, დაფინანსების ახალი მოდელის შემოღებას. ამაზე გვქონდა საინტერესო დისკუსიები. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხარდაჭერა რეფორმის მიმართ", – აღნიშნა **ირაკლი კობახიძემ.**

დავით გურგენიძე:

ჩვენი ხელისუფლება, ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით, ნამდვილად არის დემოკრატიული!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, დავით გურგენიძის განცხადებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა საკმაოდ პროდუქტიული და კონსტრუქციული იყო.

მისივე თქმით, პრემიერმა გაითვალისწინა პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ დასმული საკითხები.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და განათლების მინისტრთან შედგა შეხვედრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, ასევე აკადემიური პერსონალის, პროფესორ-მასწავლებლების. პრემიერ-მინისტრმა მოისმინა არგუმენტები, რაც აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. ჩვენ შევჯერდით საკითხებზე. პრემიერმა გაითვალისწინა ყველა ის საკითხი, რომელიც პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს ჰქონდათ. საკმაოდ პროდუქტიული, კონსტრუქციული შეხვედრა იყო. ჩვენი ხელისუფლება, ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით, ნამდვილად არის დემოკრატიული და ის არ ჰგავს ყოფილ ხელისუფლებას", – განაცხადა **დავით გურგენიძემ.**

დავით გურგენიძის თქმით, რეფორმის შედეგად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იქნება გამართული, უმაღლესი ტექნოლოგიური სასწავლებელი.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ყოველთვის იყო დიდი საინჟინრო ტექნოლოგიური სკოლა. პრემიერმა გრძანა, რომ რეფორმის პერიოდში მასში იქნება დიდი ინვესტიცია. ის ჩამოყალიბდება რეგიონში და მსოფლიოში ერთ-ერთ დიდ, მძლავრ უმაღლეს ტექნოლოგიურ დაწესებულებად. ახლა უკვე, როდესაც სახელმწიფოში არის ეკონომიკური აღმავლობა, საქართველოს აქვს საშუალება, ინვესტიციები ჩადოს ამ უნივერსიტეტში, რომელიც არის ხერხემალიც ეკონომიკისა და თვითმყოფადობის, ის იქნება გამართული, უმაღლესი ტექნოლოგიური სასწავლებელი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

კითხვაზე, **„პრემიერთან შეხვედრაზე თუ დადეთ პირობა, რომ ტექნიკური საგნების დატოვების შემთხვევაში რეიტინგს გაიუმჯობესებთ?",** – **დავით გურგენიძემ** აღნიშნა:

„პირობის დადებაზე აქ საუბარი არ ყოფილა, ჩვენ გვყავს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პროფესურა. ჩვენს უნივერსიტეტს რიგ შემთხვევაში მსოფლიო რეიტინგებში მაღალი წარმატება აქვს, მაგრამ ეს წარმატებები ვერ იქნება 2250 ლარით, სტუდენტის გრანტით. ამიტომ, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ინვესტიციები ჩადოს უნივერსიტეტში, შემდეგში უკვე ყველა ერთად გავაგრძელებთ მუშაობას, რათა უნივერსიტეტი უფრო მაღალ რეიტინგზე გავიდეს მსოფლიო მასშტაბით. რიგ შემთხვევაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის პირველი საქართველოსა და ამიერკავკასიაში. რეიტინგების სხვადასხვა მოდელია, მრავალი პროფილი მუშაობს"...

უდიდესი მადლი ჭრიალებს გაჩეჩილაძეების გვარში

დიდი ბედნიერებაა, როდესაც ეცნობი ქართულ გვარებში ნამდვილად გამორჩეულ და დაფასებულ გვარიშვილებს, თუნდაც სახელოვანი გაჩეჩილაძეების გვარის წარმომადგენელთა გაცნობა ერთ რამედ ღირს.

გაჩეჩილაძეები მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც მოდებულნი არიან და სანაქებო კეთილსინდისიერებითა და მაღალი ინტელექტით გამორჩეულები ღირსეულად ემსახურებიან მშობლიურ სამშობლოს, რაც ყველაზე დასაფასებელი და საამაყოა.

თავს არ შეგაწყენთ მშობლიური გვარის წევრების მიერ სამშობლოს წინაშე ღირსეული საქმიანობით, რადგან წიგნიერმა საზოგადოებამ კარგად იცის გაჩეჩილაძეების მიერ ქვეყნის წინაშე გაწეული შრომა, რომელიც ღირსეულად ფასდებოდა და დღესაც არის დაფასებული.



ჩემ თავს მოვალედ ვთვლი, მოკლედ გაგაცნოთ გაჩეჩილაძეთა გვარის მოკლე ისტორია და ღვაწლი სამშობლოს წინაშე.

მაშ ასე, დავიწყოთ XX საუკუნის გოლო წლეგიდან. იმ ხანებში გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში ხშირად გვსტუმროგდა ცნობილი დემოგრაფი გვაროლოგი, ქართული გვარ-სახელეგის დაუღალავი მკვლევარ იაკოგ ახუაშვილი. რადენჯერმე ჩამომიგდო ჩემს გვარზე სიტყვა, მთხოვა, მეზრუნა საგვარეულო კავშირის დაფუძნეგაზე. დათანხმდი, მხარში თავადაც ამომიდგა. 2001 წლის 10 დეკემგერს ჩავატარეთ გვარის წარმომადგენელთა თავყრილოგა, ეთნარქის საპატიო მისია მე დამაკისრეს.

2002 წლის 10 მარტი მადლმოსილ თარიღად შევიდა ჩვენი და ჩვენი შტოს გვარების ჯაჭვაძეებისა და წეველიძეების ისტორიაში. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ერთ-ერთი პირველი ჩვენი გვარი დალოცა. ამ სიკეთის მოთავე იყო ახალშექმნილი საგვარეულო კავშირის გამგეობის წევრი, საპატრიარქოს ფონდის „გაამწვანე საქართველო“ აღმასრულებელი მდივანი გოჩა არონიშიძე, რომელიც დედით გაჩეჩილაძეა.

„ეს გვარი უძველესია. მათ გევრი თვალსაჩინო და დიდი ადამიანები ჰყოლიათ და ამჟამადაც ჰყავთ, მათ შორის სასულიერო პირები, მეცნიერები და სხვა. ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი მადლი ტრიალებს ამ გვარში. დღეს მინდა, კიდევ ერთხელ შევახსენო მათ, რომ გაჩეჩილაძეების სალოცავი არის წმიდა გიორგის სასწაულმოქმედი ტაძარი, წმიდა გიორგის ლოცვით, ღმერთმა დალოცოს თითოეული ქართული გვარი, თქვენი შვილები. წმიდა გიორგის ლოცვით, ღმერთმა გაგამრავლოთ და მოგცეთ სიკეთის თესვის სურვილი. წმიდა გიორგი იყოს გაჩეჩილაძეების გვარის მფარველი. ჩვენთან არს ღმერთი!“ – ბრძანა დალოცვისას პატრიარქმა.

აქვე ვიტყვით, რომ დღემდე ჩვენი გვარი 36 სასულიერო პირს მოითვლის. ფუძე და ბუდე გვარისა არის იმერეთის სოფელი წევა. გაჩეჩილაძეთა გვარი და წევის ეკლესია, პირველად, მოხსენებულია ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნში, რომელიც 1550 – 1570 წლებითაა დათარიღებული.

საქართველოში არსებული წმიდა გიორგის 1100 ტაძრიდან ერთ-ერთი წევის XI საუკუნის ეკლესიაა – მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. ამ ეკლესიამ უდიდესი როლი შეასრულა გაჩეჩილაძეების ინტელექტუალურ, სულიერ და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში. ტაძარი ჯერ კიდევ 200 წლის წინათ იქცა განათლების კერად, 165 წლის წინათ კი მიმდებარე ტერიტორიაზე სკოლა აშენდა. უმაღლესი განათლების მისაღებად სწავლას აგრძელებდნენ რუსეთში ან ევროპაში და დგებოდნენ სამშობლოს სამსახურში, სადაც ღირსეული მამულიშვილი და მათ შორის არაერთი გაჩეჩილაძე აღზრდილა.

ახლა თვალი გადავავლოთ ღირსეულ გვარიშვილთა ნაამაგარს. გვარის წვლილი ცნობილია წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობაში, ზესტაფონში თეატრალური დასის და თეატრის დაარსებაში, „1907 წელს მიხეილ გაჩეჩილაძემ შექმნა საქართველოში პირველი „ჟურნალ-გაზეთების აგენტურა,“ დააარსა საკუთარი სტამბა „სორაპანი“, სადაც თითქმის 200 დასახელების წიგნი და უამრავი დასახელების ჟურნალ-გაზეთი დაბეჭდა.“ 1907–1908 წლებში გამოდიოდა ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი „ეკალი“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო პლატონ გედევანის ძე გაჩეჩილაძე;

მიხეილ გაჩეჩილაძემ 1893 წელს ბათუმში დააარსა ქართული ბეჭდვის ამხანაგობა ‘გლეხი“, ზესტაფონში გახსნა წიგნის მაღაზია.

XX საუკუნის ათიანი წლების ბოლოს, ზესტაფონიდან წასულან ყავის ქარხნის უცხოელი მეპატრონეები, ქარხანა შეისყიდეს და ყავის წარმოებას განაგრძობდნენ ძმები ბიქტორ, აგაბო და მიხეილ გაჩეჩილაძეები“. იმდროინდელ პრესაში შემორჩენილია ასეთი ცნობაც: „მესამედი წეველებისა ჩაგანძულია. გაჩეჩილაძეების სიმდიდრით გამშვენდა ზესტაფონის და ჭიათურის დუქნები, შეძლებულთა შვილები იზრდებიან სასწავლებლებში“.

ბევრმა გაჩეჩილაძემ, განათლებისკენ სწრაფვით, ადგილი ღირსეულად დაიმკვიდრა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. რამდენიმე მათგანს წარმოგიდგენთ: **გივი გაჩეჩილაძე** – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, პროფესორი; **ალექსანდრე გაჩეჩილაძე** – მსახიობი, თეატრალური მოღვაწე; **ამბერკი გაჩეჩილაძე** – პროფესორი; **გივი გაჩეჩილაძე** – კონსერვატორიის პროფესორი; **ავთანდილ გაჩეჩილაძე** – არქიტექტორი; **ალექსანდრე (ალეკო) გაჩეჩილაძე** – „კატრექესის“ გამომგონებელი; **ივანე გაჩეჩილაძე** – პროფესორი...

ცნობილ ფოლკლორისტს, სევასტი გაჩეჩილაძეს (1863-1943) ზედმიწევნით შეუსწავლია წეველთა ფოლკლორი და გამოუქვეყნებია ჟურნალში „აკაკის კრებული,“ აგრეთვე კრებულში „ძველი საქართველო.“

ტრადიცია გრძელდება. დღეს გვარის ცნობილი მოღვაწეები არიან: **გიორგი გაჩეჩილაძე** – დოქტორი, მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე; **არჩილ გაჩეჩილაძე** – „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი; **გია /უცნობი/ გაჩეჩილაძე** – მუსიკოსი, მწერალი, მსახიობი, შოუმენი და აქტივისტი; **დავით გაჩეჩილაძე** – საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მწერალი და მხატვარი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად იბრძოდა აფხაზეთში და სამაჩაბლოში.

61 წლის ასაკში, შარშან გარდაიცვალა **ლევან გაჩეჩილაძე** – 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი, ცნობილი ბიზნესმენი და პოლიტიკური მოღვაწე.

* * *

დაფუძნების პირველი დღიდანვე გაჩეჩილაძეთა საგვარეულო კავშირი აქტიურად შეუდგა მუშაობას.

სამეჯლისო ცეკვების სტუდია „თელას“ ხელმძღვანელებმა **თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეგმა** დაუთმეს სივრცე გამგეობას მუშაობისთვის; გოჩა არონიშიძის თაოსნობით აღდგა მღვდელთმსახურება წევის წმინდა გიორგის ტაძარში; გამოვიდა საგვარეულოს გაზეთი „ჯაჭვი“; ნამდვილად დიდ საქმეს დაადგა თავი ხელოვნებათმცოდნემ და მოქანდაკემ **ეკატერინე გაჩეჩილაძემ** – სამ ტომად გამოიცა მისი ნაშრომი – **„გაჩეჩილაძეთა საგვარეულო“** (გაჩეჩილაძეები, ჯაჭვაძეები, წეველიძეები); აგრეთვე სქელტანიანი ნაშრომი „წევა, წმინდა გიორგის ეკლესია“; გვარის ვეტერანმა **როსტომ გაჩეჩილაძემ** ცალკე გამოცემა მიუძღვნა სოფელ წევიდან 1944 წელს გაჩეჩილაძეების გადასახლებას ე.წ. თურქი მესხეთისგან დაცლილ სოფ ზიკილიაში.

* * *

სამომავლო გეგმეგიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ემიგრანტეგთან ურთიერთოგა. განვიხილავთ საგვარეულო სოფელში ეკლესიისა და სკოლის შესაძლეგლოგეგის გამოყენეგით მოხუცთა და სოციალურად დაუცველ გავშვთა ერთოგლივი პანსიონატის გახსნის საკითხს.

ყველასთვის გასაგებია, რა სიკეთეს მოიტანს სითბო-სიყვარულით გაჯერებული ოჯახური გარემო. დაანონსებული გვაქვს „საპატიო გვარიშვილის“ წოდების შემოღება, რომლითაც წახალისდებიან საერთო საქმეში თვალსაჩინო წვლილის შემტანი გვარის ღირსეული წარმომადგენლები.

თენგიზ გაჩეჩილაძე,

გაჩეჩილაძეთა საგვარეულო კავშირის დამფუძნებელი და პირველი ეთნარქი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი; თბილისის საპატიო მოქალაქე.

რა დაემართა არალის ზღვას?!

როცა პროგრესი კატასტროფად იქცევა!

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნე ტექნოლოგიური ნახტომის ხანად მოიაზრეგა, ზოგიერთი მიღწევა ტრაგედიადაც გადაიქცა. ასეთ შემთხვევად ითვლეგა არალის ზღვის კატასტროფა – ეკოლოგიური კრიზისი, რომელიც ადამიანის მიერ გამოწვეული ერთ-ერთი ყველაზე დიდი გარემოსდაცვითი კატასტროფაა თანამედროვე ისტორიაში.

ერთ დროს არალის ზღვა მსოფლიოს მეოთხე ყველაზე დიდი შიდა წყალსატევი იყო. მისი ფართობი 68 000 კვადრატულ კილომეტრამდე აღწევდა. ყველაფერი შეიცვალა 1960-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირმა ცენტრალური აზიის უკაცრიელ რეგიონებში მასშტაბური სარწყავი პროექტები დაიწყო. ამ პროექტებისთვის გადაიტანეს ორი მთავარი მდინარის – ამუდარიისა და სირდარიის – წყლის დიდი ნაწილი, რომლებიც არალის ზღვის მთავარი წყაროები გახლდათ. შედეგად, ზღვამ სწრაფად დაიწყო შემცირება.

რამდენიმე ათწლეულში წყლის დონე კატასტროფულად დაეცა. ზღვა, ფაქტობრივად, დაიშალა ცალკეულ მცირე ტბებად და დაკარგა წყლის უდიდესი ნაწილი. XXI საუკუნის დასაწყისისთვის მისი მოცულობა თავდაპირველის მცირე ნაწილიღა იყო.

* * *

ეკოლოგიური შედეგები მძიმე აღმოჩნდა. ზღვის ფსკერზე დაგროვილი მარილი და ქიმიური ნივთიერებები ქარით ასობით კილომეტრზე ვრცელდებოდა. ეს ტოქსიკური მტვერი აზიანებდა სასოფლო-სამეურნეო მიწებს, წყალსა და ადამიანების ჯანმრთელობას. რეგიონში დაფიქსირდა რესპირატორული დაავადებების, კიბოს ზოგიერთი ფორმისა და გავშვთა სიკვდილიანობის ზრდა.

ეკონომიკური დარტყმაც დამანგრეველი იყო. ადრე აყვავებული თევზჭერის ინდუსტრია, პრაქტიკულად, გაქრა. ქალაქები და პორტები, რომლებიც ზღვის სანაპირზე მდებარეობდა, დღეს უდაბნოს შუაგულში აღმოჩნდა. ათასობით ადამიანმა დაკარგა სამუშაო და საცხოვრებელი პირობები მნიშვნელოვნად გაუარესდა. ტრაგედიის ერთ-ერთი ყველაზე მნელი მხარე ის იყო, რომ პროექტების განხორციელების დროს გარემოსდაცვითი რისკები ან არ გაითვალისწინეს, ან სათანადოდ არ შეაფასეს. შედეგად, მილიონობით ადამიანი აღმოჩნდა ეკოლოგიური ექსპერიმენტის უნებლიე მონაწილე – პროცესის, რომლის შედეგებიც ათწლეულების შემდეგაც იგრძნობა. დღეს არალის ზღვის ნაწილი ნაწილობრივ აღდგა (განსაკუთრებით, ჩრდილოეთის ნაწილი, ყაზახეთის მხარეს), თუმცა მთლიანად ზღვის დაბრუნება, პრაქტიკულად, შეუძლებლად ითვლება.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს: ცნობილი მსახიობი და კერძო საბავშვო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი კოტე მჟავია ამჯერად ტრადიციული და სახელოვანი თეატრის დირექტორად დაინიშნა.

ყოველი ცვლილება თეატრში სათანადოდ აისახება და საგზაგადოების დიდ ინტერესს იწვევს. ტრადიციულად იცვლება რეპერტუარი და თეატრის შემოქმედებითი თვალსაწიერი, ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ ინტერვიუში საგზაგადოებისთვის თეატრის მომავალი პერსპექტივა დაგვენახვებინა.

კოტე მჟავია:

ბათუმის თეატრის წარმატების მჯერა

– ბატონო კოტე, როგორ შეეგუეთ ახალ კოლექტივს? თქვენს ბიოგრაფიაში პროფესიული თეატრის ხელმძღვანელობა ახალი ამბავია. ამას ერთდროულად დადებითი და რთული მხარეებიც ახლავს. რას იტყვით სარეპერტუარო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე?

– სიმართლე გითხრათ, მოსვლის დღიდან თავი უცხოდ არ მიგრძვნია. დასი ძალიან თბილად შემხვდა. თუ არ ჩავთვლით პირველი ათი წუთის უხერხულობას.

– ვინ მოვიდაო?

– ალბათ! შემდეგ ძალიან მეგობრულად აეწყო ურთიერთობა. რა თქმა უნდა, თეატრში მოსულმა გავაცნობიერე, რომ დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა. ვიცოდი, რომ საკმაოდ რთული ვითარება იყო, მაგრამ ეს სირთულე არ მიგრძვნია. უპირველესად, მსახიობების თხოვნით, შევქმენით სამხატვრო საბჭო, რომელიც ჩემთან ერთად პასუხისმგებელი იქნებოდა სარეპერტუარო პოლიტიკაზე. ამის შემდეგ დავიწყეთ ფიქრი, თუ რომელი რეჟისორი მოგვეწვია და რა დაგვედგა. ერთი თხოვნა მქონდა, რომ 14 იანვარს, ქართული პროფესიული თეატრის აღდგენის დღეს, სპექტაკლი გიორგი კაშიას დაედგა. სამხატვრო საბჭო დამეთანხმა. თეატრში გაგა გოშაძე დამხვდა, უაღრესად საინტერესო პიროვნება. მახარებს, რომ შემოქმედებითი მხრიდანაც საინტერესო სპექტაკლი „უხერხემლო“ დადგა. ახლა ისევ გიორგი კაშია დადგამს ნ. გოგოლის „რევიზორს“, შემდგომ გოჩა კაპანაძეც შემოგვიერთდება და განახორციელებს სპექტაკლს – „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები მიდიან“. აგვისტოში ჩამოვა მოლდოველი რეჟისორი პეტრო ვუდკარაუ, რომლის სპექტაკლითაც გავხსნით მომავალ სეზონს. ამის შემდგომ, 1 ოქტომბრიდან ანდრი ჟორდაკი დაიწყებს მუშაობას, მაგრამ ჯერ არ ვიცით, რას დადგამს, თუმცა კასტინგი ჩაატარა და ძალიან კმაყოფილი წავიდა. ოღონდ ერთი შენიშვნა მომცა – ახალგაზრდები არ გყავსო. საშუალო და უფროსი თაობის მსახიობები მაღალი დონის არიან და ნებისმიერ მასალაზე შემიძლია მათთან მუშაობაო. კიდევ მიდის მოლაპარაკებები სხვა რეჟისორებთან: ნიკოლოზ ჩიკვაიძესთან, ირაკლი კავსაძესთან, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვა. ასეთი გეგმები გვაქვს უახლოეს მომავალში.

მიუხედავად იმისა, რომ სეზონი 14 იანვარს გაიხსნა, ივლისამდე 6 პრემიერას ვასწრებ. იქნება, შვიდიც მოვასწრო – ვნახოთ. მსახიობთა არარეალიზების მაჩვენებელი იმდენად დიდი იყო, რომ მინდა მათი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვლინდეს.

– საკმაოდ სერიოზული პრობლემაა ახალგაზრდობის ნაკლებობა და როგორ აპირებთ ამის გადაჭრას?

– მოგეხსენებათ, ჩვენთან არის ხელოვნების უნივერსიტეტი. ახლა რამდენიმე სტუდენტი დავაკავე. მომავალი წლის სეზონამდე მათი შერჩევა მექნება და ორ გოგონასა და ორ ბიჭს შტატში ავიყვან. რაც მთავარია, უპრეცედენტო მხარდაჭერაა ადგილობრივი მთავრობისა და კულტურის სამინისტროს მხრიდან. ამიტომ მათ დავარწმუნებ, რომ ამ ოთხი მსახიობის შტატში აყვანა აუცილებელია და, ვფიქრობ, უარს არ მეტყვიან.

– სარეპერტუარო პოლიტიკა როგორ განისაზღვრება. რასაც მე ვხედავ, სულ სხვადასხვა ჟანრის პიესებს განსხვავებული ხელწერის რეჟისორები დგამენ.

– სიმართლე გითხრათ, ამასთან დაკავშირებით ჯერ რაიმე კონკრეტული გეგმა არ გამაჩნია. თეატრის კარი ნებისმიერი საინტერესო პროექტისთვის ღია მაქვს. ჩვენთან უამრავი პროექტი შემოდის და არაერთი რეჟისორი გამოთქვამს მუშაობის სურვილს. ამიტომ სამხატვრო საბჭოზე 15-20 შეთავაზებას განვიხილავთ და შემდგომ ავარჩევთ, ვინ რას დადგამს. მოვიცავთ კლასიკას, თანამედროვეობას, კომედიას, დრამას, ექსპერიმენტს. ყველაფერს მოვსინჯავთ. მთავარია, საინტერესო პროექტი იყოს, მთავარია, ნიჭიერი რეჟისორი მოვიდეს და თეატრის კარი არ ჩაიკეტოს.

– მთავარია, თქვენი სურვილი ეკლექტიკაში არ გადაიზარდოს. მოგეხსენებათ, ექსპერიმენტი შეიძლება კარგად გამოვიდეს ან წარუმატებელი იყოს. ამ მხრივ რისკის არ გეშინიათ?

– სავარაუდოდ, 6-7 პრემიერაა დაგეგმილი და ერთს ექსპერიმენტისთვის დავიტოვებ.

– ხელფასების საკითხი როგორ დგას?

– ამ სფეროში რთული ვითარება დამხვდა. აცდენა დიდი იყო. მაგალითად, თუ ვინმეს 10 ლარი ჰქონდა, სხვას მხოლოდ 5 ლარი ჰქონდა გამოყოფილი. ვცდილობ, ეს მდგომარეობა გამოვასწორო და მსახიობები თანაბარ მდგომარეობაში ჩავაყენო. დღეისთვის ცოტა მივუახლოვე ჩანაფიქრს, რომ მსახიობებისთვის ნორმალური პირობები შემექმნა, რაშიც მთავრობა და სამინისტრო გვერდში დამიდგა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მსახიობმა თავი ღირსეულად იგრძნოს.

– მოგეხსენებათ, თეატრებში მეტყველების პრობლემა დგას და, როგორც მსახიობს, გეკითხები, თუ აპირებ ტრენინგების ჩატარებას და სხვა ღონისძიებებს ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად?

– დიდი ხნის მოსული არ ვარ და ოთხ სპექტაკლზე მუშაობისას რასაც ვამჩნევ, ამის პრობლემა არ შექმნილა. ვიცი, რომ ჟოლდაკი სანამ დაიწყებს მუშაობას დამდგმელ ჯგუფთან, ერთკვირიანი ტრენინგი ექნება და ეს კარგი ჩანაფიქრი მგონია. ეს აუცილებელიცაა და ამის ტრადიციაც არსებობს. მიხეილ თუმანიშვილი თავის თეატრში რეპეტიციას ყოველთვის ტრენინგით იწყებდა.



– ვნახე თქვენი სპექტაკლი „უხერხემლო“, რომელიც საკმაოდ საჩოთირო თემას ეხება და ამ საკითხს როგორ უყურებთ და რამდენად საინტერესოა საზოგადოებისთვის?

– ყველამ ვიცით, რომ თეატრი ჩვენი საზოგადოების სახეა. მისი ფიცარნაგი თავისუფალი სივრცეა და მისი დანიშნულებაა, დააფიქროს მაყურებელი. ზოგმა შეიძლება გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს, მაგრამ შენი სათქმელი უნდა თქვა. ჩვენი ცხოვრება ტკივილებითაა სავსე, ვფიქრობ, ამ სპექტაკლის მთავარი სათქმელი ის არის, რომ ღმერთისთვის ყველა ადამიანი ერთია და მისთვის ყველა შვილი თანაბრად საყვარელია. საზოგადოებაც ბევრ რაღაცაზე უნდა დაფიქრდეს. პროფესიულად და გემოვნებით წარმოჩენილი სათქმელისთვის თეატრი იდეალური ადგილია.

– ბათუმის თეატრსაც თუ ექნება მოზარდთა სასწავლო და საგანმანათლებლო ფუნქცია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის აღზრდისთვის?

– საბავშვო რეპერტუარზე ვფიქრობ და აუცილებელიცაა თეატრისთვის. დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენი თეატრი ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს და მისი ნაწარმოებები აუცილებლად უნდა იდგმებოდეს. აქ დამხვდა სპექტაკლი „კაცია-ადამიანი“ და მის აღდგენას ვფიქრობ. თუმცა ეს საკმარისი არ იქნება. სკოლაცა და ბავშვებიც მოწყურებულია, თეატრში მოვიდეს და სათანადო სპექტაკლი იხილოს. ამასთანავე, ეს ხელს შეუწყობს გემოვნებიანი და კულტურული ადამიანის ჩამოყალიბებას. მეც დიდი გამოცდილება მაქვს საბავშვო თეატრის ხელმძღვანელობისა და მის ფუნქციას მნიშვნელოვნად მივიჩნევ. საბავშვო სპექტაკლი მაღალმხატვრული და თვალისმომჭრელი უნდა იყოს, რომ მაყურებელმა შეიგრძნოს წაკითხული და სათანადო ემოციური მუხტი მიიღოს. ძალიან მინდა მომავალ ახალ წელს ბავშვებს რომელიმე ზღაპრის ფეიერვერკული სანახაობა წარვუდგინო, რათა ახალ თაობას თეატრში მოსვლა სულიერ მოთხოვნილებად ექცეს.

– ძალიან კარგ წამოწყებას უყრი საფუძველს, როდესაც პრემიერებზე თეატრმცოდნეებს ეპატიჟები და ისინი თავიდანვე საქმის კურსში არიან თეატრში მიმდინარე პროცესებზე, რაც მათ რეცენზიებშიც აისახება. ეს წამოწყება შენი აზრი იყო თუ სამხატვრო საბჭოსი?

– ჩემი ინიციატივაა. ვფიქრობ, რომ ასეთი თანამშრომლობა ორივე მხარისთვის ძალიან სასარგებლო იქნება. ამავე დროს, დაიწერება რეცენზიები, რაც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ დადებითი და სუსტი მხარეები და ვიფიქროთ მათ სრულყოფაზე.

– მომავალ გეგმებზე რას გვეტყვით?

– ზაფხულისთვის, როგორც კი სათანადო რეპერტუარი გვექნება, გვინდა მოვიაროთ მთელი საქართველო და ჩვენი შემოქმედება გავაცნოთ საზოგადოებას. ამას გარდა, 2027 წელს ვგეგმავთ გასტროლებს პარიზში, ნიცაში, ოვერგირიონში და ბათუმში გვინდა ჩავატაროთ თეატრალური ფესტივალი.

– წარმატებებს გისურვებთ.

– დიდი მადლობა და გელით მომავალ პრემიერებზე.

ესაუბრა
გუბაზ მეგრელიძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

გიგა ავალიანიც მოკლეს, თვითონაც ზნეობრივად განადგურდნენ!



SOS!

გიგა ავალიანის გარდაცვალების სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულებს ბრალი დაუმძიმდათ და სხვა ძალადობრივი დანაშაულების ფაქტებზე ბრალდება წარედგინათ!

მასწავლებელ გიგა ავალიანის გარდაცვალების საქმეგე დაკავებულ პირებს გენერალურმა პროკურატურამ Хგუფური ძალადობის შესახებ ახალი ბრალდებები წარუდგინა. ამის შესახებ პროკურორმა გიორგი მიქაიამ გუშინ უწყებაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც ბრიფინგზე გახდა ცნობილი, საუბარია ამ პირების მიერ განხორციელებულ სხვა დანაშაულებრივ ქმედებაგე. პროკურატურამ გაავრცელა შესაბამისი ვიდეომასალაც.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს პროკურატურის ზედამხედველობით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ამ დროისთვის ჩატარებულია ასეულობით საგამოძიებო მოქმედება, გამოკითხულია ასამდე მოწმე, დანიშნულია და მიღებულია სხვადასხვა სახის ექსპერტიზები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ 2025 წლის სექტემბერში, ალექსანდრე გაგაშვილმა ნია იმნაძისაგან შეიტყო, რომ მან მათემატიკაში მომზადება დაიწყო გიგა ავალიანთან, რომელიც მისივე გადმოცემით ზედმეტ ყურადღებას იჩენდა. ალექსანდრე გაგაშვილი დაუკავშირდა მეგობრებს გიორგი რიკაძეს და დემეტრე ჩიქოვანს, რომელთაც მოუყვა მომხდარის შესახებ, რის შემდგომაც მათ ერთად გადაწყვიტეს გიგა ავალიანზე ჯგუფურად თავდასხმა და მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

ამ მიზნით დაადგინეს გიგა ავალიანის პიროვნება, შეამოწმეს მისი სოციალური ქსელი, საიდანაც გადმოტვირთეს ფოტო იმისათვის, რომ აღექვათ და დაემახსოვრებინათ ვიზუალურად. გაარკვიეს მისი სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მისამართები, შეისწავლეს მისი სამუშაო გრაფიკი, რა გზით გადაადგილდებოდა სამსახურიდან სახლში. შეარჩიეს განზრახვის შესრულების ადგილი და დაიწყეს თვალთვალი.

2025 წლის 29 სექტემბერს, საღამოს საათებში **ალექსანდრე გაგაშვილი, გიორგი რიკაძე** და **დემეტრე ჩიქოვანი** ანგარიშსწორების მიზნით მივიდნენ ქ. თბილისში, ზღვის უბნის დასახლებაში მდებარე სასწავლო ცენტრთან, სადაც მოაწყვეს ჩასაფრება და შექმნილი ჰქონდათ ყველა პირობა იმისთვის, რომ გიგა ავალიანს თავს დასხმოდნენ, მიეყენებინათ მისთვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. დაახლოებით 20:00 საათიდან 22:00 საათამდე პერიოდში ელოდებოდნენ ცენტრიდან გიგა ავალიანის გამოსვლას, თუმცა იმ დღეს მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლეს.

2025 წლის 1 ოქტომბერს **ალექსანდრე გაგაშვილის, გიორგი რიკაძისა** და **დემეტრე ჩიქოვანის** მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ალექსანდრე გაგაშვილმა და გიორგი რიკაძემ სისრულეში მოიყვანეს განზრახვა. კერძოდ, დაახლოებით 22 საათსა და 20 წუთზე, ქ. თბილისი, ზღვის უბნის დასახლება, მე-11 მიკრორაიონი, მე-3 კვარტალი, N56 ა კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ალექსანდრე გაგაშვილი და გიორგი რიკაძე ჯგუფურად თავს დაესხნენ გიგა ავალიანს, რომელმაც თავდასხმის შედეგად ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო. აღნიშნულის შედეგად გიგა ავალიანი 2025 წლის 24 ოქტომბერს სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა.

სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, აღნიშნული პირების მონაწილეობით გამოვლინდა სხვა დანაშაულებრივი ფაქტები:

ალექსანდრე გაგაშვილმა, გიორგი რიკაძემ, დემეტრე ჩიქოვანმა და სხვა პირებმა მათთვის მიუღებელი პირების გამოვლენისა და დასჯის მიზნით, ჯგუფური ძალადობა დააორგანიზეს, ისინი შეთანხმდნენ სისტემატურად მოეხდინათ ასეთ პირთა შერჩევა, დაემყარებინათ მათთან კომუნიკაცია, მოტყუებით დაეთანხმებინათ ისინი შეხვედრაზე და ფიზიკურად გასწორებოდნენ. გიორგი რიკაძე, დემეტრე ჩიქოვანი, ალექსანდრე გაგაშვილი და სხვა პირები კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით თავად, თითქოსდა გოგონების სახელით წერდნენ შერჩეულ მსხვერპლს და ახდენდნენ მათ გარეთ გამოტყუებას, ითანხმებდნენ მათ წინასწარ შერჩეულ დროსა და ადგილას შეხვედრაზე, უსაფრდებოდნენ და მათზე ჯგუფურად ფიზიკურად ძალადობდნენ, რაც მსხვერპლის უმოწყალო ცემასა და სიტყვიერ შეურაცხყოფაში გამოიხატებოდა. ჯგუფური ძალადობის მიმდინარეობას ისინი კამერაზე აფიქსირებდნენ, ძალადობის ამსახველ კადრებს კი ინახავდნენ მობილურ ტელეფონებში და ავრცელებდნენ მიზნობრივ ჯგუფებში.

დადგენილია, რომ ორგანიზებულმა ჯგუფმა განახორციელა შემდეგი ძალადობრივი ქმედებები:

1. 2025 წლის ზამთარში გიორგი რიკაძემ, ალექსანდრე გაგაშვილმა, დემეტრე ჩიქოვანმა და სხვა პირებმა იმ მოტივით, რომ თითქოსდა 30 წლამდე მამაკაცი ერთ-ერთი მათგანის ახლობელ გოგონას სოციალური ქსელის მეშვეობით სწერდა, მისი დასჯა და დაშინება გადაწყვიტეს. ამ მიზნით 2025 წლის თებერვალში, ღამის საათებში, გიორგი რიკაძემ, დემეტრე ჩიქოვანმა, ალექსანდრე გაგაშვილმა და სხვა პირებმა დაზარალებული მოტყუებით მიიყვანეს ქ. თბილისში, დიდ დიღომში, მე-3 მიკრორაიონში, მე-20 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე და სხეულის სხვადასხვა არეში ხელ-ფეხის მრავალჯერადი დარტყმით ფიზიკურად გაუსწორდნენ მას, ხოლო ძალადობის პროცესი მობილური ტელეფონით გადაიღეს.

2. ასევე, 2025 წლის ზაფხულში, ქ. თბილისში, დიდ დიღომში, მე-3 მიკრორაიონში, 21-ე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, გიორგი რიკაძე და ალექსანდრე გაგაშვილი სხვა პირებთან ერთად, სხეულის სხვადასხვა არეში ხელ-ფეხის მრავალჯერადი დარტყმით, ფიზიკურად, უმოწყალოდ გაუსწორდნენ წინასწარ შერჩეულ მსხვერპლს, ხოლო ძალადობის პროცესი, ასევე მობილური ტელეფონით გადაიღეს.

3. იმავე მიზნითა და მოტივით, 2025 წლის თებერვალში, გიორგი რიკაძე დემეტრე ჩიქოვანთან და სხვა პირებთან ერთად, ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოში, მათთვის მიუღებელი პიროვნების დასჯისა და დაშინების მიზნით, თავს დაესხნენ წინასწარ შერჩეულ მსხვერპლს, სხეულის სხვადასხვა არეში ხელ-ფეხის მრავალჯერადი დარტყმით ფიზიკურად გაუსწორდნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მას, ხოლო ძალადობის პროცესი მობილური ტელეფონით გადაიღეს.

4. 2025 წლის სექტემბრის დასაწყისში, დაახლოებით 21:00 საათიდან 22:00 საათამდე დროის შუალედში, ქ.თბილისში, დიდ დიღომში, მე-3 მიკრორაიონში მდებარე ახალ სკვერში დემეტრე ჩიქოვანი და სხვა პირები ფიზიკურად გაუსწორდნენ იქ მყოფ ახალგაზრდებს. თავს დაესხნენ დაზარალებულებს და სხეულის არეში ხელ-ფეხის მრავალჯერადი დარტყმის შედეგად ფიზიკურად გაუსწორდნენ მათ.

ალექსანდრე გაგაშვილს გიგა ავალიანის სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ჯგუფურად, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა) და სხვა ძალადობრივი დანაშაულის ფაქტებზე 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით (ჯგუფური მოქმედების ორგანიზება და მასში მონაწილეობა, რასაც თან ახლავს ძალადობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გიორგი რიკაძეს გიგა ავალიანის სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ჯგუფურად, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა) და სხვა ძალადობრივი დანაშაულის ფაქტებზე 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით (ჯგუფური მოქმედების ორგანიზება და მასში მონაწილეობა, რასაც თან ახლავს ძალადობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დემეტრე ჩიქოვანს, სხვა ძალადობრივი დანაშაულის ფაქტებზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით (ჯგუფური მოქმედების ორგანიზება და მასში მონაწილეობა, რასაც თან ახლავს ძალადობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მასვე ბრალდება გიგა ავალიანის სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18,117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით (ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მომზადება) და საქმე არსებითად განიხილება სასამართლოში.

სამივე ბრალდებულს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული აქვს პატიმრობა. აქვე განვმარტავთ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება გრძელდება და იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთება რომელიმე სხვა პირის პასუხისმგებლობის საფუძველი, იქნება ეს დანაშაულის ორგანიზებისა თუ სხვა ნებისმიერი დანაშაულებრივი მიმართულებით, ბრალდების მხარის მიერ მოხდება შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროში გრძელდება გამოძიება ახლად გამოვლენილ დანაშაულებრივ ფაქტებში მონაწილე სხვა პირების დადგენის მიზნით“, – განაცხადეს პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე.

რეპროდუქტოლოგი არჩილ ხომასურიძე

დიდი სცენარისტი და რეჟისორი, სულმნათი რეზო თაბუკაშვილი სიცოცხლის ბოლო წლებში ხშირად გვიმეორებდა, რომ პროფესიონალიზმი ყველაზე დიდი პატრიოტიზმიაო და სწორადაც ამბობდა. ნამდვილი პროფესიონალი საქმეზე შეყვარებული, გონიერი, განათლებული, განსაკუთრებულად პასუხისმგებლიანი და იშვიათი ადამიანია, მაგრამ ამ იშვიათებს შორისაც არიან უფრო გამორჩეულნი, უფრო უკეთესნი, ისეთები, რომელთათვისაც პროფესია არ არის მხოლოდ ქვეყნის სამსახური, პროფესია მათთვის არის ცხოვრების მიზანი, ცხოვრების არსი.

სწორედ ასეთი ადამიანი გახლავთ არჩილ ხომასურიძე.



სიცოცხლის მარადიულობის დიდი ქომაგი

ყმაწვილობის წლებში, მოსკოვში მოღვაწეობისას, მან დააგროვა ფუნდამენტური ცოდნა რეპროდუქციულ მედიცინაში, ენდოკრინოლოგიასა და საკუთრივ, გინეკოლოგიაში... ყოველივე ამის ცოდნა მაშინ მსოფლიოში ერთ-ერთ უმაღლეს სტანდარტად ითვლებოდა.

თუმცა ქვეყნის გარეთ მოსალოდნელ აღმავალ კარიერას არჩილ ხომასურიძემ სამშობლოში დაბრუნება არჩია და გადაწყვიტა, მხოლოდ იოსებ ჟორდანიას სახელობის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელად კი არ დარჩენილიყო, არამედ რევოლუცია მოეხდინა ქართულ მედიცინაში – აეღორძინებინა რეპროდუქტოლოგია, დარგი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო საკადრისად ჩამოყალიბებული არც საქართველოში და არც მსოფლიოს წამყვან სამედიცინო სკოლებში.

ეს მიმართულება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ გინეკოლოგიის ჩარჩოებში მოქცეული რჩებოდა.

სრულიად ახალგაზრდა არჩილ ხომასურიძემ შეძლო და რევოლუციური გარღვევა მოახდინა მედიცინაში. მისი თავდადებული შრომით, 1997 წელს, საქართველოში რეპროდუქტოლოგია ოფიციალურად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამედიცინო დარგად. შეიქმნა შესაბამისი სამედიცინო და აკადემიური ფუნქციები.

ქალის ფიზიოლოგიის და პათოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, იოსებ ჟორდანიას სამედიცინო სკოლის ბაზაზე, უკვე გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად, არჩილ ხომასურიძემ აქტიურად დაიწყო უშვილობის, შობადობის ანომალიებისა და სხვა რეპროდუქციული პრობლემების კვლევა – თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, ევროპული სტანდარტების შესაბამისად, ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის პარალელურად...

მისი მიზანი იყო: მსოფლიოს ეღიარებინა ქართული რეპროდუქტოლოგია, ხოლო ინსტიტუტი არ დარჩენილიყო მხოლოდ ადგილობრივ ცენტრად, არამედ გამხდარიყო ლიდერი რეგიონსა და საერთაშორისო არენაზე.

ეს იყო დიდი გამოწვევა არა მხოლოდ ქართული მედიცინისთვის, არამედ თავად ბატონი არჩილისთვის და ეს გამოწვევა თანდათან გახდა მისი ცხოვრების მთავარი მიზანი და პრინციპული გადაწყვეტილება.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა იზრდებოდა ქართული რეპროდუქტოლოგია – დარგი, რომელმაც მერე, პროფესორ არჩილ ხომასურიძის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით, საქართველოში მაღალ დონეებს მიაღწია.

როგორც კონცეფცია, ისე შედეგი, არ ყოფილა სპონტანური, მაგრამ ეს შედეგი თანდათანობით ფუნდამენტური გახდა ქართული მედიცინისთვის და კერძოდ, ქართული გინეკოლოგიური სკოლისთვის.

ბატონმა არჩილმა რეპროდუქტოლოგია არა მხოლოდ მომავალი ქართველი დედებისა და მამების დასახმარებლად შექმნა, არამედ აქცია ის ეროვნული მნიშვნელობის პროექტად.

არჩილ ხომასურიძე დღეს რამდენიმე მნიშვნელოვან სამედიცინო და აკადემიურ საქმიანობას უძღვება საქართველოში, ძირითადად, რეპროდუქციული მედიცინის მიმართულებით. ის გახლავთ საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის პრეზიდენტი – ეს არის პროფესიონალთა ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია რეპროდუქციული მედიცინის განვითარებაზე, მონაწილეობს საერთაშორისო კონგრესების მომზადებაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

გასული წლის ოქტომბერში თბილისშიც გაიმართა ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება. აღმოსავლეთ ევროპაში პირველად, ქალაქ თბილისში, ჩატარდა ადამიანის გენერაციისა და რეპროდუქციული მედიცინის მიმართულების მე-20 მსოფლიო კონგრესი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნიდან 800-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობდა. მოწვეული იყვნენ მეცნიერთა და კლინიცისტთა საერთაშორისო ექსპერტები.

კონგრესის ორგანიზებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პროფ. ჟორდანიასა და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტმა, ინსტიტუტის გამოცდილმა და საყოველთაოდ აღიარებულმა მედიკოსთა გუნდმა და, რა თქმა უნდა, უპირველესად, პირადად არჩილ ხომასურიძემ, მისმა ღრმა კომპეტენციამ და საერთაშორისოდ აღიარებულმა ავტორიტეტმა.

ეს ღონისძიება გახდა ერთიანი პლატფორმა მეცნიერებსა და პრაქტიკოს ექიმებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისთვის.

აქედანაც ჩანს, რომ ბატონი არჩილის ცხოვრება და საქმიანობა აერთიანებს მეცნიერებას, პასუხისმგებლობას ერის წინაშე და ადამიანთა მიმართ სითბოს, რაც პროფ. ჟორდანიასა და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტს უკონკურენტოს ხდის, უნარჩუნებს მას ძლიერ ავტორიტეტს.

დღეს, როდესაც უშვილობის მკურნალთა რიგები კოსმოსური სიჩქარით იზრდება, არჩილ ხომასურიძე რჩება გამორჩეულ ფიგურად – სანდოობისა და უტყუარობის ეტალონად – მისი პიროვნული უნარებისა და გამოცდილების წყალობით, ის პაციენტებს უდიდეს გარანტიას აძლევს უშვილობის დაძლევაში, რითაც ათასობით ოჯახს ახარებს და მომავლის იმედს უნერგავს.

რაც შეეხება მის საოცარ ურთიერთობებს პაციენტებთან, ეს ცალკე საუბრის თემაა:

თითოეული პაციენტი ბატონი არჩილისთვის ახალი ისტორიაა, მისთვის არ არსებობს პაციენტთა სტატისტიკა, მისთვის არსებობენ ადამიანები, არის მათი ფიზიკური და სულიერი ტკივილი, მოლოდინი და სიხარული. სწორედ ამ ადამიანურ მიდგომაში იკვეთება მისი მთავარი ცხოვრებისეული ფილოსოფია: „მედიცინა ემსახურება სიცოცხლეს, ხოლო რეპროდუქტოლოგია – მის გაგრძელებას, მის მარადიულობას“!

* * *

გუშინდელივით მახსოვს, გევრი წლის წინ, ჩოხატაურიდან ჩამოსულები – დედა და მე – სკოლის მოსწავლე – მოკრძალებით რომ ვიდექით მისი კაბინეტის მისაღებში, ქალბატონ ქეთისთან. გარკვეული ხნის ლოდინის შემდეგ სახელოვანი ექიმების ფოტოებითა და სამედიცინო სლაიდებით გადაჯედილ კაბინეტში აღმოვჩნდით. ოთახის გოლოში, გრძელ მაგიდასთან, თეთრი ხალათით იჯდა სიმპათიური მამაკაცი, ცნობილი პროფესორი და საზოგადო მოღვაწე არჩილ ხომასურიძე.

მას შემდეგ ის ჩემი მკურნალი ექიმი, მეგობარი და გულშემატკივარია. მისი სიტყვები და მხარდაჭერა ყოველთვის იყო დასაყრდენი არა მხოლოდ ჩემი ჯანმრთელობის, არამედ ჩემი ცხოვრების მიმართულებით.

11 თებერვალს ბატონი არჩილის დაბადების დღეა.

ბოლო ხანს ამბობს ხოლმე, რომ უკვე ასაკში შევიდა, რომ ყველაფერი აღარ არის ძველებურად. ალბათ, ასეა. წლები ჩვენი ჯანმრთელობის და სილამაზის ყველაზე დიდი „ქურდები“ არიან, მაგრამ, როცა ბატონი არჩილი დაიწუწუნებს, მგონია, რომ აჭარბებს, რადგან კვლავაც ენერგიული, მახვილგონიერი, ყოველგვარი სიახლის მხარდამჭერი და საუკეთესო მოსაუბრეა, რომელსაც დეტალებში ახსოვს წლების წინანდელი ნიუანსებიც კი.

დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო არჩილ, განსაკუთრებით იმისთვის, რომ გვასწავლეთ: ჰუმანიზმი მთავარი ფასეულობაა, ხოლო მედიცინა, უპირველეს ყოვლისა, არის ჰუმანიზმი, რომლის გარეშე არც ახალი სიცოცხლე იბადება, არც პაციენტი იკურნება და არც დიდი საქმე კეთდება.

ჭეშმარიტად ასეა, სიცოცხლის გაჩენის დიდო ქომაგო!

ირანდა კალანდაძე

ხელოვნური ინტელექტი კიბოს დიაგნოზს ექიმებზე სწრაფად სვამს

კიბო მსოფლიოში სიკვდილიანობის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია. ეროვნული კიბოს ინსტიტუტის მონაცემებით, 2022 წელს მსოფლიოში კიბოს თითქმის 20 მილიონი ახალი შემთხვევა დადასტურდა. რაც შეეხება დაღუპულებს, მათი რაოდენობა 9.7 მილიონი იყო. 2040 წლის პროგნოზების მიხედვით, ეს მაჩვენებელი 29.9 მილიონ ახალ შემთხვევამდე გაიზრდება.

დაავადების ადრეული გამოვლენა რთულია, რადგან ტრადიციული დიაგნოსტიკური მეთოდები (სისხლის ანალიზები) შეიძლება ინვაზიური იყოს. ეს ზოგიერთ ადამიანს აიძულებს თავი აარიდოს რეგულარულ სკრინინგს. გარდა ამისა, ზოგიერთ რეგიონში ჯანდაცვის დაწესებულებებზე შეზღუდული წვდომა ართულებს კიბოს ტესტების მარტივად ჩატარებას.

იაპონური სტარტაპის (CRAIF) მიზანია ამ ნაკლოვანებების მოგვარება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შარდის ანალიზზე დაფუძნებული არაინვაზიური ტესტის შექმნით. ეს კიბოს ადრეულ სტადიებზეც კი (მაგალითად, პირველ სტადიაზე) გამოავლენს.

„ტესტის ჩატარება სახლის პირობებშიც შესაძლებელია და ის მიკრო რნმ-ის გაუმჯობესებულ ანალიზს ეფუძნება. ასეთი ადრეული გამოვლენა უფრო ხელმისაწვდომი და ეფექტიანია“, – განუცხადა TechCrunch-ს სტარტაპის თანადამფუძნებელმა და აღმასრულებელმა დირექტორმა **რიუიჩი ონოსემ.**

* * *

რიუიჩი ონოსემ კიბოს მომაკვდინებელი ეფექტი თავის ოჯახზე გამოცადა. მის ორივე ბეგია-ბაბუას კიბოს დიაგნოზი დასვეს. პირადმა გამოცდილებამ გაუჩინა მას ძლიერი მოტივაცია, მოეგვარებინა ეს პრობლემა.

პროდუქტის კიდევ ერთი უნიკალური ასპექტი შარდის გამოყენებაა. ონოსეს თქმით, ეს მარტივი, არაინვაზიურია და მრავალ სამეცნიერო და პრაქტიკულ უპირატესობას გვთავაზობს. მას სხვა ნიმუშებთან შედარებით ნაკლები მინარევები აქვს, ამიტომ მიომარკერის სიგნალები უფრო მკაფიოა. ეს ხელს უწყობს გაზომვისას პოტენციური შეცდომების შემცირებას (მაგალითად, სისხლის ჰემოლიზის გამო) და ზოგავს ტესტირებაზე დანახარჯებს.

* * *

Craif-ის პირველ პროდუქტ MISIGNAL-ს პანკრეასის, მსხვილი ნაწლავის, ფილტვის, კუჭის, საყლაპავის, მკერდისა და საკვერცხის კიბოს აღმოჩენა შეუძლია.

„იაპონიაში ჩვენ ვთანამშრომლობთ 1000-ზე მეტ ჯანდაცვის დაწესებულებასთან და დაახლოებით 600 აფთიაქთან. ჩვენი გუნდი 73 ერთგული თანამშრომლისგან შედგება“ – თქვა **ონოსემ.**

სტარტაპი გეგმავს MISIGNAL ტესტის მასშტაბის გაფართოებას კიბოს ათ სხვადასხვა სახეობაზე. გარდა ამისა, კომპანია ემზადება გამოიყენოს თავისი ტექნოლოგია არასიმსივნური დაავადებების, როგორიცაა ნეიროდეგენერაციული დარღვევები (მაგალითად, დემენცია), ადრეული გამოვლენისთვის.

ახალი დაფინანსება სტარტაპს დაეხმარება, აშშ-ის ბაზარზე შევიდეს კიბოს ადრეული გამოვლენის ტესტით. მიზანი შემდეგია: აშშ-ში 2029 წლისთვის კლინიკური კვლევების დასრულება. კომპანიამ უკვე დაიწყო პანკრეასის კიბოს ნიმუშების შეგროვება აშშ-ის 15 შტატის 30 ჯანდაცვის დაწესებულებასთან თანამშრომლობით.

* * *

ხელოვნური ინტელექტი დიდი ხანია გვეხმარება კიბოსა და სხვა დაავადებების აღმოჩენაში. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტმა Annalise.AI-მ შეძლო ფილტვის კიბოს დიაგნოსტირება ექიმებზე სწრაფად და ამით გადაარჩინა 69 წლის ქალის დაიან კოვეის სიცოცხლე.

გარდა ამისა, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია, მაგალითად, სისხლის ანალიზებში გამაფრთხილებელი ნიშნების ამოცნობა ან სკრინინგის დროს ძუძუს კიბოს შემთხვევების დადასტურება. ეს ყველაფერი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევებისა და ტესტების დამსახურებაა.

ყინულის კარიერის გენერლები

ვიცინოთ თუ ვიტიროთ? – ალბათ, მევრს გაახსენდებოდა ეს ცნობილი დილემა მილანი – კორტინას ოლიმპიადის ფიგურისტთა გუნდური ტურნირის დასრულების შემდეგ.

სხვათა მაგივრად რა მოგახსენოთ, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ დაკავებული ისტორიული მე-4 ადგილის გამო უნდა ვიამაყოთ და, დარწმუნებულნი ვართ, მევრი დაგვეთანხმება დიდი სინანულის მიუხედავად.

სხვათა შორის, ახლა უფრო ოპტიმალურად გვესახება სპორტის ზოგიერთ სახეობაში დამკვიდრებული პრაქტიკა, როცა ერთბაშად 2 ბრინჯაოს მედალი თამაშდება. კარგი იქნებოდა, ცხელ იტალიურ ყინულზე გადატანილი უმძაფრესი ბრძოლების შემდეგაც რომ ასე დაფასებულიყოს ჯვაროსანთა როგორც ოსტატობა, ისე გაუტეხავი სული, მაგრამ ვიმეორებთ – თავდასახრელი არაფერი გვაქვს – უფრო პირიქით.



როგორც იცით, მოკლე პროგრამის შემდეგ მასპინძლებს 5, კანადელებს კი 2 ქულით ჩამოვრჩებოდით, თანაც ფინალს მიღმა დავტოვეთ საფრანგეთი, კორეა და ჩინეთი.

საგედნიეროდ, თავისუფალ კომპოზიციაში სამყარომ იხილა ერთ მუშტად შეკრული დიდი გუნდი, რომელმაც თვით ფიგურული სრიალის კრუიფის – გენიალური **ტოლერ კრენსტონის** მშობლიურ ნეკერჩხლის ფოთლებს გაუსწრო და ცოტა დააკლდა სკუადრა აძურას ძლევამდე.

უფრო კონკრეტულად, **ლუკა გერულავა – ანასტასია მეტელკინას** წყვილმა და **ანასტასია გუბანოვამ** თითქმის უნაკლოდ ისრიალეს, 9-9 ქულა შესძინეს პარტნიორებს დაკავებული მე-2 ადგილებით და საკვარცხლბეკო პლაცდარმი შეუქმნეს **ნიკა ეგაძეს,** რომელსაც ორი დღის განმავლობაში ზედიზედ მეორედ მოუწია უზარმაზარი ფსიქოლოგიური წნეხის დაძლევა.

ევროპის ახალგაზრდა ღირსეულმა ჩემპიონმა ამჯერად ვაუკაცურად დათმო, უპირველესად, საკუთარ მესთან უთანასწორო დუელი, მაგრამ, ვიმედოვნებთ, თანაგუნდელთა მსგავსად, იგი ომახიან სიტყვას პირად ტურნირში იტყვის. საამისოდ ხომ თვითონვე შეგვამზადეს, რისთვისაც მადლობას კიდევ ერთხელ ვუხდით!

საბოლოო მდგომარეობა: აშშ – 69, იაპონია – 68, იტალია – 60, საქართველო – 56, კანადა – 54 ქულა.

პირად ტურნირში პირველი რიტმულ ცეკვაში **დიანა დევის – მაქსიმ სმოლკინის** წყვილი ჩაება და 23 დუეტს შორის მოკლე პროგრამაში დაკავებული მე-13 ადგილით წარმატებით შეასრულა პროგრამა-მინიმუმი, რადგან დღეს თავისუფალი პროგრამით 20 საუკეთესოში ისრიალებს.

შეგირდიც,

მართალია, სეზონის პირველი – პარიზის გრანდ სლემიდან უმედლოდ გაწბილებულნი დავბრუნდით, მაგრამ ქართული ძიუდოს ოქროს ხანა საფრანგეთის დედაქალაქში კიდევ ერთხელ მაინც აღინიშნა და დაფასდა.

კერძოდ, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი **ეთერ ლიპარტელიანი** 2025 წლის პლანეტის საუკეთესო ტატამის ქალ დიდოსტატადაც დასახელდა და ნომინაცია „მომენტის“ ლაურეატიც გახდა.

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სათანადო პატივი მიაგეს ჯვაროსან ჩემპიონთა აღმზრდელებსაც, რასაც სულითა და გულით ვულოცავთ მსოფლიოს 2025 წლის საუკეთესო მწვრთნელებად აღიარებულ საქართველოს ვაუთა და ქალთა ეროვნულ ნაკრებთა თავკაცებს – ლაშა გუჯეჯიანსა და გია თენაძეს.

მოკლედ, წინ ჩვენებურთა ახალი წარმატებებია!

ოსტატებიც...

ბრძენთა თამაშის ხუთოსნები

13 დიდოსტატისა და 4 საერთაშორისო ოსტატის მონაწილეობით თბილისში გამართულ მოჭადრაკე ვაუთა 85-ე და ქალთა 83-ე საქართველოს ჩემპიონატებზე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან 10-10 წარმომადგენელი შეიკრიბა.

აღსანიშნავია, რომ წრიული სისტემით გათამაშებული ტიტული ორივე გამარჯვებულმა კარიერაში მეხუთედ მოიხვეჭა, თვით ტურნირის საბოლოო შედეგები კი ასეთი გახლავთ.

ვაუები: ბაადურ ჯობავა – 6, თორნიკე სანიკიძე – 5,5, ლუკა კილაძე – 5, მერაბ გაგუნაშვილი, კონსტანტინე შანავა, ნიკოლოზ კაჭარავა – 4,5, ლუკა კაჭარავა, ნოე თუთიანი, გიგა ყუფარაძე – 4, ირაკლი ახვლედიანი – 3 ქულა.

ქალები: ნინო ბაციაშვილი – 7,5, ლელა ჯავახიშვილი, მერი არაბიძე – 5,5, სოფიკო ხუხაშვილი, ბელა ხოტენაშვილი – 5, დიანა ლომაია, მარიამ ცეცხლაძე – 4, კესარია მგელაძე – 3,5, ანასტასია კირთაძე – 3, ინგა ხურცილავა – 2 ქულა.

ზოგი ჭირი მარგებელია?

ტრავმით გამოწვეული 10-დღიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ლიგა – 1-ის ლიდერ პარი სენ-ჟერმენს ხვიჩა კვარაცხელია დაუბრუნდა. და მერე როგორ?

მარსელთან საშინაო ფრანგულ კლასიკოში 62-ე წუთზე შემცვლელად შესულმა ჩვენმა ოქროს ბიჭუნამ, რომელსაც ხვალ 25 წელი უსრულდება, რასაც სულითა და გულით ვულოცავთ, ოთხიოდე წუთში დემბელეს გადაცემით გატანილი ეფექტური გოლით საკუთარ თავს მშვენიერი საიუბილეო საჩუქარი უძღვნა – 5:0, ხოლო მალევე ახლოდან კინაღამ დუბლიც შეასრულა, მაგრამ ბურთი სტუმართა კარის ზედა ძელს მოხვდა.

ასეა თუ ისე, ხვიჩა ისევ მრისხანე ქართველად რჩება. **ავსტრიის ბუნდესლიგა:** შტურმი – რიდი 1:0. მასპინძლებმა მძიმე გამარჯვება 86-ე წუთზე გუნდის კაპიტან **ოთარ კიტეიშვილის** ასისტით მოიპოვეს.

გერმანიის მე-2 ბუნდესლიგა. პადერბორნი – ნიურნბერგი 2:1. სეზონში მე-2 გოლი სტუმარ ბავარიელთაგან **ლუკა ლოჩოშვილმა** გაიტანა, მაგრამ ამით პარტნიორები ვერ იხსნა.

ესპანეთის ლა ლიგა. ვილიარეალი – ესპანიოლი 4:1. 5-მატჩიანი უგოლო სერია შეწყვიტა **გიორგი მიქაუტაძემ,** რომელმაც 35-ე წუთზე ლამაზი გოლით გახსნა ანგარიში, ხოლო შესვენების შემდეგ პირადი სტატისტიკა ასისტითაც გაიმდიდრა.

დიდი ჭკვილი

მისთვის არსთა გამრიგემ 37 წელი გაიმეტა, მაგრამ მაინც გევრი მოასწრო.

13-წლიანი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში სისწრაფითა და ტექნიკით გამორჩეულმა თავდამსხმელმა **გელა გოცირიძემ** ითამაშა თბილისის ამერში, ზესტაფონში, გორის დილაში, მარტვილის მერანში, ამბროლაურის რაჭაში, უკრაინულ დნიპროსა და კრივბასში, საქართველოს ახალგაზრდულ (19 მატჩი, 9 გოლი), 19-წლამდელთა (8 მატჩი, 3 გოლი) და ყველასათვის საოცნებო ეროვნულ ნაკრებებში (12 მატჩი, 1 გოლი).

სამწუხაროდ, იმავე პერიოდში იყო ავტოავარიაც, მაგრამ მაშინ გადარჩა...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქცია და საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაცია ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახსა და მთელ ქართულ საფეხბურთო საზოგადოებას მისი ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლის გამო.

* * *

ჯერ ახალგაზრდა კაცის ცხედარი გაციებულიც არ იყო, ნაც-ახვართა კლასტერმა პირი ტრადიციულად რომ აიმყრალა და მისი პოლიტიკური შეხედულებების საპასუხოდ ყველაზე ამორალურ ხერხს – მიცვალებულის წყევლა-კრულვას (ეს ყველაზე რბილი შეფასებაა) მიმართა.

მჯობნის მჯობნი არ დაილევაო და ენაჭარტალა კოლეგა-თანამოაზრეთა შორისაც კი გამორჩეული ბილწსიტყვაობის კორიანტელი დააყენა სოცქსელებში კაბიანმა მიშამ ვინმე **მარიზი კობახიძემ** (აფსუს, რა გვარს არცხვენს ფეკალური მასის აღნიშნული მხვრეპავი?!).

თუმცა, ერთიცაა – ამით მხოლოდ შეურაცხყოფის ავტორები მოიმკიან ბუმერანგის პრინციპის შესაბამის პასუხს.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის გარდაცვალების ფაქტზე პროკურატურამ გამოძიება დაიწყო

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის გარდაცვალების ფაქტზე საქართველოს პროკურატურამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, – ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

„დღეს, 9 თებერვალს რაბათის ციხეში არსებულ დაცვის პოლიციისათვის განკუთვნილ სამუშაო ოთახში დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი გარდაცვლილი იპოვეს. გამოძიების მიერ ამ ეტაპზე მოპოვებული ინფორმაციით, მან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამსახურებრივი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით თვითდაზიანება მიიყენა, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა. მიმდინარეობს შესაბამისი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები“, – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

ყაზბეგში ოქროს საიუველირო ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღკვეთეს

საგაუო გამშვებ პუნქტში – „ყაზბეგი“, დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის მცდელობის 2 ფაქტი აღიკვეთა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ოქროს (საერთო წონით 497 გრამი) ნაკეთობები აღმოაჩინეს. არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 118,147 ლარი შეადგინა. სამართალდამრღვევი მოქალაქეების საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

ფრინველის არალეგალური სასაკლაოები აჭარასა და იმერეთში

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებმა ფრინველის არალეგალური სასაკლაოები აჭარაში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და იმერეთში, საჩხერის მუნიციპალიტეტში გამოავლინეს.

სეს-ს ინფორმაციით, შპს „ატო“ (მის: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, ფანასკერტელ-ციციშვილის 29) ფერმის ტერიტორიაზე ფრინველის დაკვლას ახორციელებდა ვეტერინარული ზედამხედველობის გარეშე, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და ტექნოლოგიური პროცესის უხეში დარღვევით.

მიზნესოპერატორს არ ჰქონდა მინიჭებული სააგენტოს სავალდებულო აღიარება და საქმიანობდა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე. კრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა საჩხერეში, ინდმეწარმე ნ. გ.-ს (მის: თამარ მეფის N15) ფრინველთა სასაკლაოზეც. მიზნესოპერატორს არ ჰქონდა სააგენტოსაგან მინიჭებული სავალდებულო აღიარება. ობიექტზე დაილუქა ვეტერინარული ზედამხედველობის გარეშე, ტექნოლოგიური პროცესისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით დაკლული 80კგ ფრინველის ხორცი. ორივე მიზნესოპერატორი დაჯარიმდა კანონმდებლობის შესაბამისად და შეუსაბამობების აღმოფხვრამდე შეუჩერდათ საწარმოო პროცესი.

ტყიბულში, ძიძიგურის სახელობის მაღაროში მეშახტე დაიღუპა

ტყიბულში მეშახტე დაიღუპა. შემთხვევა ძიძიგურის სახელობის მაღაროში გუშინწინ დილით მოხდა. მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს.

მიგრაციის დეპარტამენტმა საქართველოდან უცხო ქვეყნის 80 მოქალაქე გააძევა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან მჭიდრო კოორდინაციით, გოლო დღეების განმავლობაში უცხო ქვეყნის 80 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს, – ინფორმაციას ამის შესახებ შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაძევებულ პირებს ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა დაუწესდათ.

მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, ქვეყნიდან გაძევებულ იქნა თურქეთის, რუსეთის, ინდოეთის, ირანის, აზერბაიჯანის, ეგვიპტის, თურქმენეთის, პაკისტანის, უზბეკეთის, ნიგერიის, ბანგლადეშის, ისრაელის, ერაყის, იორდანიის, ნეპალის, კოტ დივუარის, სუდანის, ტაჯიკეთის, ფილიპინებისა და შრი ლანკის, ჯამში, 80 მოქალაქე.

სულთათანა

ნომადი ბართაია

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ნომადი ევგენის ძე ბართაია, ერთი უღირსეულესი წარმომადგენელი ქართული სამწერლო ოჯახისა, რომელიც თავისი ცხოვრებისეული წესით თუ ნირით ყველას შთამბეჭდავ მაგალითს აძლევდა იმისა, თუ როგორ შეიძლება ჩუმად, უხმაუროდ ემსახურო მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს, მშობლიურ მწერლობას და აკეთო დიდი, ეროვნული მნიშვნელობის საქმენი...

ნომადი ბართაია დაიბადა 1944 წლის 16 სექტემბერს მარტვილის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოში. 1961 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის განყოფილების სტუდენტად, რომელიც 1966 წელს დაასრულა.

ნომადი ბართაია სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. არჩეული იყო ირანისტიკის კათედრის გამგედ თსუ-ში და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში, რედაქტორობდა ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოსთან არსებულ ქართულ და სპარსულენოვან ჟურნალ „კალამს“, არჩეული იყო აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტისა და ირანისტიკის მიმართულების ხელმძღვანელად, სამეცნიერო ჟურნალების („ქართველოლოგიური მემკვიდრეობა“, „წელიწდეული“, „სამეცნიერო აზრი“, „ისლამი და ქრისტიანობა“) სარედაქციო კოლეგიების წევრად, ქსუ-ს ემერიტუს პროფესორად, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსად. ყველგან, სადაც არ უნდა ეღვაწა ამ დიდებულ შემოქმედსა და მოაზროვნეს, ყველგან სიკეთისა და სიყვარულის ფლუიდებს აფრქვევდა, ყველგან ქართული იდეალების დამკვიდრებას ემსახურებოდა...

ნომადი ბართაიას ლიტერატურული კურთხევა 1967 წელს შედგა, როდესაც თსუ ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში“ საკუთარი თარგმანები გამოაქვეყნა. მას შემდეგ მისი ლექსები, მხატვრული თარგმანები, იუმორისტული მოთხრობები, მოგონებები, მეცნიერული სტატიები თუ მონოგრაფიები პერიოდულად ქვეყნდებოდა ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნება.

ნომადი ბართაიას პოეტური კრებულები („ერთტომეული“, „ლექსები“, „ვიღაცას აივანი აუყვავებია“, „მზესავით ითხოვ არაფერს“, „იმ წლის შემოდგომის მთვარე“, „ასი ლექსი“, „მე ისიც მიყვარს, მინახავს ვინც არ“...) სალიტერატურო კრიტიკისა და ქართველი მკითხველის მოწონებით და აღიარებით სარგებლობდა. ამ კრებულებიდან ხომ სიკეთე და მადლი მოედინებოდა, ის სიკეთე, სალბუნად რომ ედებოდა ჩვენს სულსა და გულს და სათნოებისა და კეთილშობილების სასწაულებს გვაზიარებდა ამ მეტისმეტად პრაგმატულ და უმკაცრეს სამყაროში.

მისი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა სპარსულ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

იუმორის ჩინებული განცდა გააჩნდა. მისი იუმორისტული მოთხრობები იბეჭდებოდა ჟურნალ „ნიანგის“ ფურცლებზე და ცალკე კრებულებადაც გამოიცემოდა („არ დამიწეროთ ფრიადი“, „მიშველეთ“, „მიყვარს ცურვა“, „მხიარული შეხვედრები“). ცალკე უნდა აღინიშნოს, თუ რა დიდი სიყვარული ჩააქსოვა მისი დიდი მეგობრის ზეზვა მედულაშვილისადმი მიძღვნილ კრებულში „ჩვენი ზეზვა“.

ჩინებული მთარგმნელი იყო. ბრწყინვალედ თარგმნა სპარსული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის ცალკეული ნიმუშები, აგრეთვე „აქემენიდთა ძველსპარსული წარწერები“, საიდ ჯაფარ საჰიდის წიგნი „ცხოვრება მუჰამადისა“, იმამ ხომენეისადმი მიძღვნილი მოგონებათა კრებული „მწვანეზე მწვანე“...

ნომადი ბართაიას სახით თანამედროვე ქართულ მეცნიერებას გამორჩეულად მნიშვნელოვანი ირანისტი ჰყავდა. მან ხომ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართულ-ირანული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევას მიუძღვნა. ამის დასტურია მისი საკანდიდატო დისერტაცია „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობებიდან (კლასიკური სპარსული ლირიკის ქართული თარგმანები) და არაერთი ისეთი კრებული, როგორიცაა „ირანული ჩანახატები“, „ქართული საყვავილე ირანული ვარდებისთვის“, „ფირდოუსი მეორე ათასწლეულში“, „დიალოგი რელიგიათა შორის“, „საქართველო და ირანი“, „თავრიზის მზე“, „დავით აღმაშენებლის ერთი უცნობი დამსახურების შესახებ“.

მშვენიერი წიგნი მიუძღვნა მაგალი თოდუას ხსოვნას, საკადრისი პასუხი გასცა ქართველთმოძულეებს...

ნომადი ბართაიას მრავალწლიანი მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ივანე მაჩაბლის, გალაკტიონ ტაბიძის, ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა. მიენიჭა გალაკტიონის ოქროს მედალი. ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ დააჯილდოვა XX საუკუნის დიდი ირანელი პოეტის შაჰრიარის კულტურის საერთაშორისო მედლით. მინიჭებული ჰქონდა „ჭადრის ოქროსფერი ფითლის“ პრემია. არჩეული იყო მარტვილის და ლეხაინდრაოს საპატიო მოქალაქედ...

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ ნომადი ბართაია – პოეტი, მეცნიერი, მოღვაწე, უღირსეულესი შვილი თავისი ქვეყნისა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მილიარდერის უფასო აბდაუბდა...

ილონ მასკი აცხადებს, რომ SpaceX-ი მთვარეზე „თვითგანვითარებადი ქალაქის“ შექმნაზეა ფოკუსირებული, რომლის აშენებაც ათ წელზე ნაკლებ დროში იქნება შესაძლებელი

მილიარდერი ილონ მასკი აცხადებს, რომ SpaceX-ი მთვარეზე „თვითგანვითარებადი ქალაქის“ შექმნაზეა ფოკუსირებული, რომლის აშენებაც „ათ წელზე ნაკლებ დროში“ იქნება შესაძლებელი. მისივე თქმით, მარსზე მსგავსი გეგმის შესრულებას უფრო მეტი დრო დასჭირდება.

მასკმა აღნიშნა, რომ მარსზე მოგზაურობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც პლანეტები ყოველ 26 თვეში ერთ ხაზზე განლაგდებიან, ხოლო მთვარეზე მოგზაურობა ყოველ ათ დღეში შეიძლება.

„მათთვის, ვინც არ იცის, SpaceX-მა უკვე გადაიტანა ყურადღება მთვარეზე თვითგანვითარებადი ქალაქის მშენებლობაზე, რადგან პოტენციურად ამის მიღწევა ათ წელზე ნაკლებ დროში შეგვიძლია, მაშინ როცა მარსზე მას 20+ წელი დასჭირდება. SpaceX-ის მისია იგივე რჩება: ცნობიერებისა და სიცოცხლის ისეთი სახით გავრცელება, როგორიც ჩვენ ვიცით, ვარსკვლავებამდე. მარსზე მოგზაურობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც პლანეტები ყოველ 26 თვეში ერთ ხაზზე განლაგდებიან (მოგზაურობის ხანგრძლივობა ექვსი თვეა), მაშინ როცა მთვარეზე გაფრენა ყოველ ათ დღეში შეგვიძლია (მოგზაურობის ხანგრძლივობა ორი დღეა). ეს ნიშნავს, რომ მთვარის ქალაქის აშენება მარსზე გაცილებით სწრაფად შეგვიძლია. ამის მიუხედავად, SpaceX-ი ასევე შეეცდება მარსზე ქალაქის აშენებას და ამის გაკეთებას დაახლოებით 5-7 წელიწადში დაიწყებს. უმთავრესი პრიორიტეტი ცივილიზაციის მომავლის უზრუნველყოფაა და ამისთვის მთვარე უფრო სწრაფია“, – წერს ილონ მასკი.

იწყება 73-ე ეტაპი

კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მესამე და შემდგომი ბავშვის მონათვლისა

„იწყება სამოცდამეცამეტე ეტაპი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს მიერ ახალდაბადებული მესამე და შემდგომი ბავშვის მონათვლისა“, – ამის შესახებ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში წერია.

მათი ცნობით, ნათლობის მსურველთა რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს საპატრიარქოში ა.წ. 16 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით 12 საათიდან 16 საათამდე.

რეგისტრაციის მსურველებმა თან უნდა იქონიონ:

მშობლების პირადობის მოწმობების ასლები;

მშობლების ჯვრისწერისა და ქორწინების მოწმობების ასლები;

შვილების დაბადებისა და ნათლობის მოწმობების ასლები.

საკონტაქტო ტელეფონები: 593 90 08 10, 558 65 11 59, 593 46 45 71“.

ჩვენს ტურისტულ პოტენციალს ინდოეთის უმსხვილეს გამოფენაზე OTM MUMBAI 2026 გაეცნენ

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ინდოეთში, მუმბაიში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში OTM Mumbai 2026 მიიღო მონაწილეობა, – ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

უწყების ცნობით, ინდოეთში უმსხვილეს და აზიის ქვეყნებში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან გამოფენაზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 32 კერძო კომპანიასთან და სახელმწიფო ორგანიზაციასთან ერთად წარდგა.

„გამოფენის ფარგლებში, საქართველოს სტენდთან ქვეყნის ტურისტული მიმართულების შესახებ პრეზენტაცია გაიმართა.

OTM Mumbai 2026-ის სტუმრებმა ინფორმაცია მიიღეს საქართველოს კურორტებისა და ტურისტული პროდუქტების შესახებ. OTM Mumbai 2026-ზე, B2B ფორმატში, შეხვედრები შედგა ინდურ კომპანიებთან ინდოეთიდან საქართველოში მაღალმხარჯველი ტურისტული სეგმენტის მოსაზიდად. ქართული სასტუმროებისა და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებმა ინდოელ კოლეგებთან თანამშრომლობისა და საქართველოში ტურისტული პაკეტების შემუშავების თემები განიხილეს. მუმბაის ტურისტულ გამოფენას 50 ათასზე მეტი ვიზიტორი ეწვია, OTM Mumbai 2026-ზე 60-ზე მეტი ქვეყნიდან 1000-ზე მეტი კომპანია იყო წარდგენილი“.

ნინო რეხვიაშვილის ფილმი სულხან-საბა ორბელიანზე...

გამომცემელი ნინო რეხვიაშვილი იღებს შემეცნებით-დოკუმენტურ ფილმს სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებაზე. ამ მიზნით გადამღები ჯგუფი და ხელოვანები რომს სტუმრობენ. საოპერო მომღერალი გაია გრიგოლია ამ ფაქტის შესახებ სტატუსს აქვეყნებს, იგი წერს, რომ ნინო რეხვიაშვილის შემეცნებით-დოკუმენტურ ფილმში „სულხან-საბა“ ასრულებს ვიტალინის „ავე მარიას“ (კონცერტმაისტერი მაყვალა ხორბალაძე).

„2026 წლის 7 თებერვალი. მემორანდუმი რომში ქართველთა სათვისტომო „კოლხეთსა“ და „ნინო რეხვიაშვილის გამომცემლობას“ შორის (ბეგლარ თავართქილაძე, ნინო რეხვიაშვილი), რომლის თანახმად ქართველთა სათვისტომო „კოლხეთს“ გადაეცა უფლებამოსილება, ნინო რეხვიაშვილის მიერ გადაღებული საგანმანათლებლო-დოკუმენტური ფილმები: „მოჭირნახულე ერისა“ და „ექვთიმე – ცხოვრების წესი“ აჩვენოს არა მარტო იტალიის ტერიტორიაზე და სხვა ქალაქებში არსებულ ქართველ სათვისტომოებს, არამედ, იტალიის სხვადასხვა დაწესებულებას. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ქართული ტექსტი იტალიურად თარგმნოს.

ფილმში „მოჭირნახულე ერისა“ ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ამსახველი კადრებია. მე ვასრულებ ილიას ლექსზე ზაქარია ფალიაშვილის სიმღერას „რისთვის მიყვარხარ“.

მადლობა ქალბატონ ნინო რეხვიაშვილს, ამ ფილმების სულისჩამდგმელს, რომელმაც მომცა შესაძლებლობა, შემეცნებით-დოკუმენტურ ფილმებში – ვაჟა, ილია, აკაკი და ახლა უკვე სულხან-საბაში მიმეღო მონაწილეობა და მცირედი წვლილი შემეტანა ამ დიდ და ეროვნულ საქმეში“, – წერს **გაია გრიგოლია.**

ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო კინოჩვენება მოსწავლეთათვის

საქართველოს ეროვნული არქივის კინოდარგაზში „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლის“ მოსწავლეებისთვის დოკუმენტური ფილმების ჩვენება მოეწყო. ღონისძიება ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ეროვნული არქივის ინფორმაციით, მოსწავლეებმა იხილეს ეროვნული არქივის კინოკოლექციაში დაცული დოკუმენტური ფილმი „ივანე ჯავახიშვილი“ (1975 წელი), რომელიც მაყურებელს ისტორიკოსის ღვაწლზე მოუთხრობს.

კინოჩვენების შემდეგ მოსწავლეებმა ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში მიმდინარე გამოფენა „წმინდა ნინო – საქართველოს განმანათლებელი“ დაათვალიერეს. ექსპოზიცია საქართველოს გაქრისტიანების 1700 წლისთავს ეძღვნება და მასზე წარმოდგენილია ეროვნულ არქივში დაცული წმინდა ნინოსთან დაკავშირებული ხელნაწერები, ისტორიული საბუთები და ფრესკების რეპროდუქციები.

ღონისძიებას „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლის“ მოსწავლეებისთვის 150-ზე მეტი მოსწავლე ესწრებოდა. ეროვნული არქივის ხელშეწყობით გამართული ღონისძიების ორგანიზატორი ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია იყო.

ეროვნული არქივი აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, რათა ახალგაზრდა თაობაში ქვეყნის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას შეუწყოს ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები ჰააგაში

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი კონსტანტინე გამსახურდია და ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები ჰააგაში ნიდერლანდების საელჩოში საქართველოს საელჩოს ესტუმრნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, საელჩოს ქართული წიგნები, მათ შორის ეროვნული ბიბლიოთეკის უახლესი გამოცემები გადაეცა. წიგნები ქართულ საკვირაო სკოლაში დაიდგმება.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაგელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგებული, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ფავორიტში“
აგელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის
დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო
ნომერი
გამოვა
პარასკევს,
13 თებერვალს**